პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 183 (18425) კვირა, 8 აგვისტო, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის და საკოლმეურნეო ბაზრებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ ხილბოსტნეულის პროდუქციის გაყიდვის გაფართოების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად ხილბოსტნეულის პროდუქციის რესურსების უფრო სრულად გამოყენების მიზნით დადგენილებით კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ნება ეძლევათ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს მიჰყიდონ და საკოლმეურნეო ბაზრებში გაყიდონ მხარეების შეთანხმებით განსაზღვრული ფასებით ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი და კენკრა (სუფრის ყურძნის, თავიანი ხახვისა და ნივრის გარდა) მათი შესყიდვის საგეგმო მოცულობის დაახლოებით 10 პროცენტის ოდენობით, აგრეთვე ამ კულტურების ზეგეგმითი პროდუქცია, რაც მათ ჩაეთვლებათ სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებაში. გათვალისწინებულია, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის და საკოლმეურნეო ბაზრებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ აღნიშნული პროდუქციის რეალიზაცია წარმოებს სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის პროპორციულად (თითოეული სახეობის პროდუქციის მიხედვით).

ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი და კენკრა, რომელსაც დამამზადებელი ორგანიზაციები არ მიიღებენ, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შეუძლიათ მიჰყიდონ სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს და გასაყიდად გაიტანონ საკოლმეურნეო ბაზრებში მხარეების შეთანხმებით განსაზღვრული ფასებით, რაც მათ ჩაეთვლებათ ამ პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებაში.

რაც შეეხება მეურნეობებს, რომლებსაც არა აქვთ დადგენილი ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილისა და კენკრის შესყიდვის სახელმწიფო გეგმები, ისინი პროდუქციას ასაღებენ საკუთარი შეხედულებისამებრ.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალათ დაადგინონ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის და საკოლმეურნეო ბაზრებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ გასაღებული ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილისა და კენკრის შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში ჩათვლის წესი მიღებული დადგენილების შესაბამისად.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს დაევალათ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ისინი ვალდებული არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის ორგანიზაციაში, არ დაუშვან დაუსაბუთებელი შეზღუდვები სამომხმარებლო კოოპერაციისათვის და საკოლმეურნეო ბაზრებში ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილისა და კენკრის რეალიზაციაში და ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ამ პროდუქციის გატანაში. წამოყენებულია წინადადება ფართოდ დაინერგოს საკოლმეურნეო ბაზრებთან სავაჭრო მომსახურების ბიუროების შექმნა, გამოეყოს მეურნეობებს საჭირო სავაჭრო და სასაწყობე სათავსები, აგრეთვე გაიხსნას ბაზრებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაღაზიები, ფარდულები და კარვები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააძლიერონ კონტროლი დამამზადებელი ორგანიზაციების საქმიანობისადმი, აამაღლონ მათი როლი და პასუხისმგებლობა ხილბოსტნეული პროდუქციის დამზადების გეგმის შესრულებისა და ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მისი დროული მიწოდებისათვის. უზრუნველყონ საკავშირო ფონდში ყველა სახეობის ხილბოსტნეულის პროდუქციის მიწოდების საგეგმო დავალებათა უპირველესი და უთუო შესრულება.

ერთიან ძმურ ოჯახში

ურღვევი კავშირი

ი. პ. კალინი,

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ურღვევია საბჭოთა ხალხების მეგობრობა, რომელიც ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მძლავრი საფუძველი გახდა. იგი იშვა და მტკიცდებოდა რევოლუციურ ბრძოლებში, ლეგენდარული საბჭოთა ხუთწლედების შემართებაში, იწრთობოდა დიდი სამამულო ომის ბრძოლების ველზე, სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში. განა შეიძლებდა ჩვენს პატარა რესპუბლიკას, რომლის მოსახლეობა ქვეყნის მცხოვრებთა საერთო რიცხვის ერთნახევარ პროცენტს შეადგენს, სსრ კავშირის მოძმე ხალხების დაუხმარებლად მიეღწია ეკონომიკური და სოციალური განვითარების დღევანდელი მწვერვალებისათვის? რა თქმა უნდა, ვერა!

1924 წელს მოლდავეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, 1940 წელს კი მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და მოლდავეთის კომუნისტური პარტიის შექმნა ლენინის დროშით ცარიზმისა და კაპიტალიზმისაგან განთავისუფლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის მოლდაველი ხალხის გმირული ბრძოლის კანონზომიერი შედეგი გახდა.

მოლდავეთის სსრ და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ისტორიამ თქვენს რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობას, არსებითად, მეოთხედ საუკუნეზე ოდნავ მეტი დაუთმო. მაგრამ, ამის მიუხედავად, მოლდავეთმა შეძლო დასწეოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, მხარი გაესწორებინა მათთვის. ეს მნიშვნელოვანწილად იმიტომ მოხერხდა, რომ მოლდაველ ხალხს შეეძლო დაყრდნობოდა ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის მხარდაჭერას, სსრ კავშირში შექმნილ სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, მთლიანად გამოეყენებინა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება“.

რესპუბლიკის მთელი ისტორია სოციალიზმის დიადი ცხოველმყოფელი ძალის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიბრძნის ნათელი დადასტურებაა. უდიდეს გარდაქმნათა მასშტაბი თვალსაჩინოდ ჩანს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის ყოველი დარგის განვითარების მაგალითით, თითოეული ქალაქის, სოფლის, თითოეული კოლექტივის, თითოეული ოჯახის მაგალითით.

ახლა კი რესპუბლიკის თვალწარმტაც პეიზაჟს შეერწყა მსხვილი ინდუსტრიული კომპლექსების კორპუსები, რომლებიც უშვებენ ჭარხლის ასალებ და ბოსტნეულის ასალებ კომბაინებს, სამსხმელო მანქანებსა და მძლავრ ელექტროძრავებს.

მოვიყვან ასეთ მაგალითს. სამოქალაქო ომის დამთავრების პირველსავე წელს მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ პარტიული უჯრედის ინიციატივით კომუნისტებმა და უპარტიო აქტივისტებმა ააწყვეს დინამომანქანა, რომელიც უსასყიდლოდ გადასცეს მოლდავეთის ქალაქ ტირასპოლს და დადგმაშიც დაეხმარნენ. 1922 წლის 19 აპრილს საქალაქო ელექტროსადგურის ამუშავებისადმი მიძღვნილი მიტინგის მონაწილეებმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნეს დეპეშა: „სადგურს ვუწოდეთ თქვენი, როგორც საბჭოთა რუსეთის ელექტრიფიკაციის ფუძემდებლის სახელი“. შემდეგ დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ კომუნისტური მეურნეობის აღდგენისა და ორგანიზაციის გზაზე კოლექტიური წამოწყებანი ეკონომიკურ ფრონტზე გამარჯვების უსწრაფესი მიღწევის გარანტია იქნება.

გასაგებია, რომ ის ელექტროსადგური ვერ შეედრება თანამედროვე ელექტროგიგანტებს. მაგრამ მან აანთო „ილიჩის პირველი ნათურები“ მოლდავეთში.

ახლა ტირასპოლის მახლობლად აღმართულა დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კორპუსები. სადგურის მშენებლობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ორმოცი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. საშენი მასალები და მოწყობილობა მოდიოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 500-ზე მეტი საწარმოდან. სადგური ყოველწლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 15 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, რომელმაც მთლიანად გარდაქმნა ადამიანთა ცხოვრება და ყოფა. სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კორპუსების გარშემო კი გაშენებულია ხეხილის ბაღის „ილიჩის ანდერძის“ უკიდეგანო მასივები, რომლის შექმნითაც აღინიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ“ ხაზგასმულია, რომ ყოველი რესპუბლიკის ეკონომიკას დიდი ადგილი უკავია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეროვნულ დოვლათში. მოლდავეთი წლითიწლობით ზრდის წვლილს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებაში, სსრ კავშირის საერთო სასურსათო პოტენციალში. იგი თავის მიერ წარმოებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მეტ ნაწილს აწვდის ქვეყანას.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დაუსახა მოლდაველ მშრომელებს სკკპ XXVI ყრილობამ. ჩვენ 30-33 პროცენტით უნდა გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება. დამთავრდება ფერადი ტელევიზორების ქარხნის მშენებლობა კიშინიოვში და ცემენტის ქარხნისა — ქალაქ რეზინაში, დაიწყება პამიდვრის ასალები, ბაღებსა და ვენახებში სამუშაოთა მექანიზაციის მანქანების საწარმოთა მშენებლობა. უკვე ამოქმედდა პირველი საამქროები სატელევიზიო ქარხანაში, მხრებს შლის ცემენტის ქარხანა. და აქ როგორ არა ვთქვათ კეთილი სიტყვა ქვეყნის ბევრი ქალაქის საწარმოთა შრომით კოლექტივებზე, რომლებიც ჩვენს ახალმშენებლობებს სხვადასხვა მოწყობილობას უგზავნიან, როგორ არ შევუქოთ მარჯვენა მოსკოვისა და ლვოვის, ლენინგრადისა და დონის-როსტოვის წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მათს მშენებლობაში.

საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის შესაბამისად ვითარდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაც. მოლდავეთის სსრ, რომელსაც ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 0,5 პროცენტი უკავია, ყურძნის საერთო-საკავშირო წარმოების 21,3 პროცენტს, ხილის 12,3 პროცენტს, თამბაქოს 40 პროცენტს იძლევა.

ორმოცდაათიანი წლების დამდეგს, როცა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობდა, საფუძველი ჩაეყარა სახალხო მეურნეობის ამ დარგის, ისევე როგორც მოლდავეთის სსრ მთელი ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ განვითარებას. ახლა მის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ახასიათებს ის, რომ აქტიურად ხორციელდება პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკა.

რესპუბლიკაში შეიქმნა და წარმატებით ვითარდება აგროსამრეწველო კომპლექსი. იგი ბევრად განსაზღვრავს მისი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის ტემპს. სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სოფლის მეურნეობის კონცენტრაციამ და სპეციალიზაციამ, ინდუსტრიულ რელსებზე მისმა გადაყვანამ შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღწია შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. კიდევ უფრო განგვემტკიცებინა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც ჩვენ მიერ სოფლის მეურნეობაში მიღწეულს ახასიათებს: 1940 წელთან შედარებით მისი მთლიანი პროდუქცია 3,4-ჯერ გაიზარდა.

მოლდაველი მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის თვალსაჩინო მიღწევაა მოლდაველი ხალხის სულიერი აღორძინება. სრული უწიგნურობისა და გაჭირვების მხარე, როგორიც იგი სოციალისტურ სამშობლოსთან გაერთიანებამდე იყო, ახლა სამართლიანად ამაყობს მიღწევებით მეცნიერებასა და კულტურაში.

საბჭოთა მოლდავეთის კულტურის სწრაფი აყვავება ხალხის რევოლუციური და შრომითი შემოქმედების, სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურების გავლენისა და ურთიერთგამდიდრების შედეგია. დიდია ამ პროცესში რუსული კულტურისა და რუსული ენის როლი. ჯერ კიდევ შუა საუკუნეების მოლდავეთის ცნობილი განმანათლებელი დოსიფეი წერდა: „სინათლე მოსკოვიდან მოდის ჩვენთან...“ და დღეს ეს სიტყვები ახლობელია მოლდაველი ხალხისათვის თავისი საოცარი ხატოვნებით.

ეგებებიან რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მძლავრი და ურღვევი კავშირის სამოცი წლის იუბილეს, საბჭოთა მოლდავეთის მშრომელები უსაზღვრო მადლობას უძღვნიან ყველა მოძმე ხალხს დახმარებისათვის, ხალასი და ნათელი მეგობრობისათვის და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტური აღმშენებლობის საქმეში. (საკდესი).



მოლდავეთი. — მხატვარ ა. ხმელნიცკის გრავიურა.

თავიდან ავიცილოთ ბირთვული საფრთხე

„ხიროსიმა არ უნდა განმეორდეს!“, „ვიხსნათ მსოფლიო ბირთვული საფრთხისაგან!“, „არ გვინდა ნეიტრონული ბომბი!“,— ასეთი ლოზუნგებით გამოვიდნენ 6 აგვისტოს მიტინგზე თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქღვინომანქანის“ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები. მიტინგი დაუკავშირდა ხიროსიმის ატომური დაბომბვის მორიგ წლისთავს და ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის მოქმედების კვირეულს, რომელიც ახლა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს.

გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ქ. დოლიძემ, რომელმაც მიტინგი გახსნა და ორატორებმა — საინსტრუმენტო საამქროს მუშამ ნ. ბელცოვმა, ინჟინერმა ა. მიასნიკოვმა, ზეინკალმა ვ. სიხარულიძემ და სხვებმა ერთსულოვნად დაგმეს გამალებული ბირთვული შეიარაღება, რომელსაც ხელს უწყობენ ნატოს ქვეყნები და უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატები. ბირთვული პოტენციალის ზრდით შეუძლებელია მშვიდობის შენარჩუნება. პლანეტაზე დაგროვილი ბირთვული იარაღი საკმარისია იმისათვის რომ რამდენჯერმე მოისპოს კაცობრიობა. სამწუხაროდ, მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრია ცხელი წერტილი, რომლებიც შეიძლება საყოველთაო ბირთვულ ხანძრად გადაიქცეს, თქვეს მიტინგის მონაწილეებმა. მათ გულისწყრომით დაგმეს ლიბანისა და პალესტინის არაბი ხალხის წინააღმდეგ ისრაელის აგრესია, მოუწოდეს დაუყოვნებლივ გაიყვანოს აგრესორმა ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

მიტინგის მონაწილეებმა მთლიანად მოიწონეს საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრული სამშვიდობო ინიციატივები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან სსრ კავშირის საჯარო განცხადება, რომ პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, თვალსაჩინოდ მოწმობს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს. ახლა ჯერი ამერიკის შეერთებულ შტატებზე და ნატოს სხვა ქვეყნებზეა.

იმავე დღეს ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში მოეწყო „მშვიდობის ვახტი“. ვახტის მონაწილეთა მიერ გამომუშავებული სახსრები მშვიდობის ფონდს გადაერიცხა. (საქინფორმი).

8 აგვისტო მშენებლის დღეა

მეგობრის მხარდაჭერით

თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრული სკოლის ოსტატების მიერ შექმნილი კომფორტული 16-სართულიანი კარკასულ-პანელიანი საცხოვრებელი სახლები შეიძლება ვიხილოთ არა მარტო თბილისში, ბორჯომში, ბიჭვინთაში, გაგრაში, არამედ დაღესტნისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკებშიც.

თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევით საპროექტო ინსტიტუტში შემუშავებული ასეთი ტიპის ნაგებობებისადმი დიდი ინტერესი შემთხვევითი როდია. მათი უნიფიცირებული ასაწყობი რკინაბეტონის კარკასი. უზრუნველყოფს არა მარტო საცხოვრებელი, არამედ საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობების აგებას პრაქტიკულად ქვეყნის ყველა კლიმატურ რაიონში, სადაც გადიდებული სეისმურობაა.

იგი სხვა კარკასებს სჯობს მოცულობით-დაგეგმარებითი პარამეტრების სისრულითაც. ამას გარდა უზრუნველყოფს შენობის წონისა და მშენებლობის ხანგრძლივობის მნიშვნელოვან შემცირებას, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ბაზების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

გასაკვირი არ არის, რომ სხვა რესპუბლიკების მშენებლებმა არჩევანი შეაჩერეს ერთ-ორ-სამ სექციიან, 75, 84, 90, 96 და 144 ბინიან სახლებზე, რომლებიც აღჭურვილია სამგზავრო და სატვირთო-სამგზავრო ლიფტებით.

ყოველ წელს ჩამოვდივარ საქართველოში, ვტკბები რესპუბლიკის ახალმშენებლობებით, ვხვდები მის ხუროთმოძღვრებს, მშენებლებს, — თქვა დაღესტნის ასსრ სახმშენის თავმჯდომარემ ჰაჯი მაჰამედის ძე გამიევმა, — და ისინი ყოველთვის მახარებენ თავიანთი შემოქმედებითი მიღწევებით, ძმურად გვიზიარებენ გამოცდილებას, გვეხმარებიან. სხვადასხვა დროს ქართველ არქიტექტორთა პროექტებით აშენდა საცხოვრებელი რაიონი, დრამატული თეატრისა და სამუსიკო-სამხატვრო სასწავლებლის შენობები მახაჩყალაში, სასტუმრო — დარუბანდში.

ახალი პროექტით აგებულ ყოველი სახლის ყველა ბინას აქვს ჰოლი და აივანი, ყოველი ოთახიდან ლოჯიაში გასასვლელი. მეჩვიდმეტე სართულზე 400 კვადრატული მეტრი ფართობი სადღესასწაულო დღეებში სწრაფად შეიძლება გადაკეთდეს საბანკეტო დარბაზად, სხდომათა დარბაზად, გამოიყენონ სპორტულ-საწვრთნელი ვარჯიშისათვის ან სახელოსნოებად.

ასეთი სახლები შენდება ამჟამად გროზნოსა და მაგადანში, ქვეყნის სხვა რაიონებში. (საქინფორმი).

სურათებზე: ახალი 16-სართულიანი სახლები ქ. თბილისის ნუცუბიძის პლატოზე; „მაღლივმშენის“ ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს მოწინავე ბრიგადა (მარცხნიდან): მემონტაჟე ნიკოლოზ გორდიენკო, ხურო იური ანისიმოვი, ელექტროშემდუღებელი პეტრე ბარაბაში და ბრიგადირი რობერტ კუშნელიოვი.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აღმავლობის გზაზე

„კომუნისტის“ ეკონომიკური მიმოხილვა

რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული. კაპიტალური მშენებლობის აღმავლობის ახალ ეტაპს სათავე დაუდო ათი წლის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა ცნობილმა დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

ამ პერიოდის მანძილზე რესპუბლიკაში თითქმის გაორკეცდა ამოქმედებული ძირითადი ფონდები.

მეათე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდებანი, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და მათ მიერ ამოქმედებული ძირითადი ფონდები შესაბამისად 37,2, 28,4 და 35,9 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედის მაჩვენებლებს. მეათე ხუთწლედში რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა საიჯარო სამუშაოთა გეგმა, გაუმჯობესდა კაპიტალური მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურაში უკანასკნელი წლების მანძილზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრითი წილი მცირდება, რაც პროგრესული მოვლენაა.

მრეწველობის განვითარების ინტენსიური მეთოდების უპირატესობათა გამოყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მთლიან მოცულობაში თანდათანობით იზრდება დანახარჯები მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციაზე, ტექნიკურ განახლებასა და გაფართოებაზე (დაახლოებით 50 პროცენტი). სამრეწველო მშენებლობაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საპროექტო გადაწყვეტანი, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემას რიგებისა და ცალკეული ასამოქმედებელი კომპლექსების მიხედვით, რაც ამცირებს კაპიტალურ დაბანდებათა გამოსყიდვის ვადებს.

1971-1981 წლებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის მატება ძირითადად მოხდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. მარტო მეათე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მიღებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მატების 90 პროცენტი. ამავე დროს, მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა დაახლოებით 10 პროცენტით უსწრებს ერთი მუშაკის საშუალო ხელფასის ზრდას. თავის მხრივ, მშენებლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო ხელფასი.

უკანასკნელ ათწლეულში რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების ტემპს მნიშვნელოვნად სჭარბობს ძირითადი ფონდების ამოქმედების ტემპი. ამავე დროს აღნიშნული პროპორციები და ძირითადი ფონდების ამოქმედების ტემპი უკეთესია შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. სწორედ საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებაზეა გამახვილებული ყურადღება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ პარტიისა და მთავრობის 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებასა და პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში. ახლებურად მუშაობის პირობებში მოიჯარისათვის გეგმის მთავარი ღირებულებითი მაჩვენებელია სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობა, რომელიც 1981 წლიდან რესპუბლიკას ყველა სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციაში დაინერგა.

ამჟამად რესპუბლიკას აქვს მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია მუდმივმოქმედ საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა ფართო ქსელით. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების ტემპი რესპუბლიკაში განსაკუთრებით დაჩქარდა მეცხრე და მეათე ხუთწლედებში. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე მოდის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა დაახლოებით 8 პროცენტი, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებს 500-ზე მეტი პირველადი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია და 55 ტრესტი, რომელთა სამშენებლო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება 430 მილიონ მანეთს აღემატება.

რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში მიმდინარეობს საიჯარო ორგანიზაციების გამსხვილების პროცესი. განვლილ ათწლეულში ერთი პირველადი სამშენებლო ორგანიზაციის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 1,3-ჯერ, ხოლო საშუალოდ ერთი ტრესტის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა — 1,5-ჯერ, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მთელი მოცულობის ნახევარს სპეციალიზებული ორგანიზაციები ასრულებენ.

მშენებლობის დარგში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველაზე მასობრივი და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონის ამაღლება და ხელის შრომის ხვედრითი წილის შემცირება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დროის მიხედვით სამშენებლო მანქანების გამოყენება, ამაღლდა ცალკეულ სახეობათა სამუშაოების მექანიზაციის და კომპლექსური მექანიზაციის დონე, ნაწილობრივ შემცირდა ხელის შრომის ხვედრითი წილი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობაში განვლილი პერიოდის მანძილზე შემცირდა ფონდუკუგების მაჩვენებელი.

კაპიტალურ მშენებლობაში მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი: საიჯარო სამუშაოთა გეგმის შესრულება დაახლოებით 20 პროცენტით სჭარბობს ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულებას. ძირითადი ფონდების ამოქმედება წლის განმავლობაში ფრიად ურიტმოდ იგეგმება, ნორმატიულ დონეს დაახლოებით მეოთხედით აღემატება დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, დიდია დაუმთავრებელი და ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობა, მთელ რიგ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების ზრდას წინ უსწრებს საშუალო ხელფასის ზრდა, ნაწილობრივ მცირდება „ფრიადზე“ და „კარგზე“ ჩაბარებული ობიექტების ხვედრითი წილი.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1982 წლის 1 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგების მაჩვენებლებს, რომ უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა მშენებლობაში რენტაბელობის გადიდების და ზარალიანობის ლიკვიდაციისათვის. დღევანდელ პირობებში სხვა ძირითად მაჩვენებლებთან ერთად აუცილებელია კარგი ფინანსური მაჩვენებლების მიღწევა.

რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში. წლების განმავლობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება უახლოვდება სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას და აჭარბებს საგეგმო თვითღირებულებას. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულების სტრუქტურაში ძირითადია დანახარჯები, რომლებიც მასალებისა და ხელფასის წილად მოდის. მთელ რიგ ორგანიზაციებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების დაგეგმვას და მის შესრულებას.

თუმცა ამ ბოლო პერიოდის მანძილზე რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მოგების გეგმა ბევრ სამშენებლო ორგანიზაციაში სისტემატურად არ სრულდება. ამავე დროს მშენებლობაში მიღებული მოგების დაახლოებით ნახევარი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებზე მოდის. ახლებურად მუშაობის პირობებში კი სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მოგების ზრდის მაჩვენებელი. რესპუბლიკაში მთლიანად მშენებლობის დარგი შეიძლება რენტაბელურად ჩაითვალოს, მაგრამ მისი დონე ჯერჯერობით დაბალია.

სკკპ XXVI ყრილობის მიერ მიღებულ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში“ კაპიტალური მშენებლობის ვრცელი პროგრამაა დასახული. უახლოეს ათწლეულში გათვალისწინებულია გავზარდოთ კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობა, განვახორციელოთ მისი თანმიმდევრული ინდუსტრიალიზაცია, თვისებრივად სრულვყოთ ძირითადი ფონდები, უფრო სწრაფად ავამოქმედოთ და ავითვისოთ ახალი საწარმოო სიმძლავრეები, დავაჩქაროთ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია, შევზღუდოთ ერთდროულად ასაგები ობიექტების რაოდენობა, შევამციროთ მშენებლობის ვადები და ღირებულება, უზრუნველვყოთ ობიექტების რიტმული ამოქმედება, გავაუმჯობესოთ სამშენებლო წარმოების დაგეგმვა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე და ორგანიზაცია, განვამტკიცოთ კაპიტალური მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მეთერთმეტე ხუთწლედის სასტარტო წელს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს მშენებლებმა. შარშან წინა წელთან შედარებით ამოქმედდა 10 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები. გადიდდა კაპიტალურ დაბანდებათა და საიჯარო სამუშაოთა მოცულობა. შემდგომში საჭიროა ამ ტენდენციის გაგრძელება და განვითარება, რაც რესპუბლიკის მშენებლებს საშუალებას მისცემს წარმატებით დაასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედი.

ე. გაფრინდაშვილი,
„კომუნისტის“ ეკონომიკური მიმომხილველი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

გამოცდილების ფურცელი № 5
(უნგრეთი)

დიდი და პატარა ფერმები,
ანუ საზოგადოებრივი მეურნეობის კავშირი საკარმიდამოსთან

მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირების საქმეში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას საკმაო გამოცდილება აქვს. ამას წინათ იქ იმყოფებოდა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მუშაკთა ერთი ჯგუფი (32 კაცი), რომელსაც სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ქალაგანიძე ხელმძღვანელობდა. გავეცანით უნგრეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სახელმწიფო მეურნეობების მუშაობას, მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირების გამოცდილებას.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება მოკლე დროში მნიშვნელოვნად გაადიდა. ეს გაკეთდა მეცნიერების მიღწევების დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისა და მართვის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამეურნეო რგოლების სრულყოფის, საზოგადოებრივი და საკარმიდამო მეურნეობის შეხამების საფუძველზე.

სკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა კარგად შეაფასა უნგრელთა გამოცდილება. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირების, ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნგრელთა გამოცდილების გამოყენებას მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ქ. თბილისში გაიმართა გასული წლის ოქტომბერში. ამჯერად კი ჩვენ ვეწვიეთ უნგრეთს. ჯგუფში შედიოდნენ ძირეული რგოლის ის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მართავენ წარმოებას. მათ გარკვეული მიზანი ჰქონდათ — გასცნობოდნენ უნგრელი ხალხის კულტურულ ცხოვრებას, მათ ღირსშესანიშნაობებს, მათ მიღწევებს სოფლის, სატყეო, სანაკრძალო და სამონადირეო მეურნეობების საქმიანობაში.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წარმომადგენლობითი ჯგუფის უნგრეთში გაგზავნა ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ წასვლის წინ ჯგუფის წევრებთან ვრცელი, გულახდილი და ღრმაშინაარსიანი საუბარი გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

პირველად ჯერ ქალაქ ბუდაპეშტის გარეუბანში ჩეპელის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „დუნაის" ვეწვიეთ. კოოპერატივს 3.000 ჰექტარი სავარგული აქვს. აქ 6.600 კაცია. კოოპერატივის ძირითადი მიზანია ბუდაპეშტის მცხოვრებთა მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. კოოპერატივს ჰყავს 1.000-მდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მემცენარეობას და მეყვავილეობას 700 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს, აქვთ 5 ჰექტარამდე სათბური. მანქანა-ტრაქტორთა პარკში 500-მდე ავტომანქანა და 150-მდე ტრაქტორია. კოოპერატივს აქვს ბოსტნეულის საშრობი და საკონსერვო ქარხნები, წვენებისა და ხორცის გადასამუშავებელი საამქროები. აქ წარმოებული პროდუქცია (ხორცი, რძე, ხილი, ბოსტნეული, ყვავილები) ბუდაპეშტის 86 მაღაზიაში იყიდება, ჭარბ პროდუქციას საექსპორტოდ გზავნიან. კოოპერატივის მთავარი პროფილია სოკოს მოყვანა, სარდაფებსა და ყოფილი ქვის კარიერების გამოქვაბულებში ყოველწლიურად მოჰყავთ 3 ათას ტონამდე სოკო.

განსაკუთრებით გულმოდგინედ ზრუნავენ სოკოს მოსაყვანი სუბსტრატის შეზავებასა და დამზადებაზე. სოკოს სუბსტრატი მეტწილად ჩონჩორიკისა და ნამჯის სპეციალური ნაზავია. ლპობის გარკვეულ სტადიაზე ეს სუბსტრატი გადააქვთ ჰერმეტულად დახურულ კონტეინერებში, სადაც ხდება მათი სტერილიზაცია. ამ მასას ურევენ სასურველი სახეობის სოკოს თესლს—მიცელიუმს, და ყრიან ცელოფანის პარკებში. პარკში 25 კილოგრამამდე სუბსტრატია. მისი მომზადების მთელ ციკლში მაქსიმალურად არის გამოყენებული მექანიზაცია. მას ზამთარში ამზადებენ. სამუშაო მოედანი მოზრდილი ფარდულია, სადაც თავისუფლად მოძრაობენ მექანიზმები.

სუბსტრატი პარკებით მიაქვთ და თავგადაშლილ მდგომარეობაში აწყობენ სარდაფებსა და ყოფილი კარიერების გამოქვაბულებში. ტემპერატურისა და ტენიანობის გარკვეული რეჟიმის პირობებში ხდება სოკოს აღმოცენება, რომელიც დაწყებიდან თითქმის უწყვეტად გრძელდება. კვადრატული მეტრი ფართობიდან ყოველწლიურად საშუალოდ 15-16 კილოგრამ სოკოს იღებენ.

გარკვეული დროის შემდეგ სუბსტრატი სხვა სოკოებით სარეველიანდება და იფიტება, ამის გამო მას ცვლიან. გამოფიტული სუბსტრატი პარკებით გააქვთ სანერგეებში, სადაც ნაკელის სახით სასუქად იყენებენ. გამოქვაბულებსა და სარდაფებში კი სუბსტრატის ახალ ფენას აწყობენ.

საკუთარ სარდაფებში სოკოს გამოყვანას მისდევენ აგრეთვე ბუდაპეშტის გარეუბნის მოსახლეობა და კოოპერატივის წევრები.

საშუალება გვქონდა დაგვეთვალიერებინა აგრეთვე მეყვავილეობის განყოფილების სათბურები, რომელთა ფართობი 5 ჰექტარს აღწევს. აქ ძირითადად ქოთნის ერთწლოვანი და მრავალწლოვანი, აგრეთვე ასაჭრელი ყვავილები გამოჰყავთ. ისინი ბუდაპეშტის გარდა იყიდება აგრეთვე იუგოსლავიაში, ავსტრიაში და სხვა მეზობელ ქვეყნებში, რომლებთანაც დადებული აქვთ ხელშეკრულება. კოოპერატივი ყოველწლიურად აწარმოებს 2 მილიარდ 200 მილიონი ფორინტის პროდუქციას, ყოველწლიური წმინდა მოგება დაახლოებით 150 მილიონი ფორინტია. სასათბურე მეურნეობის და სხვა კაპიტალური მშენებლობისათვის კოოპერატივს სახელმწიფოსაგან აღებული აქვს კრედიტი. მის დასაფარავად წმინდა მოგებიდან ყოველწლიურად დაახლოებით 24 მილიონ ფორინტს იხდის. დანარჩენი მოგება ხმარდება წარმოების გაფართოებას, ტექნიკის შეძენას.

კოოპერატივის ყველა განყოფილება სამეურნეო ანგარიშზეა. ყველას აქვს თავისი გეგმა, რომლის შესრულებისათვის იღებენ ხელფასს — დაახლოებით 4.600 ფორინტს თვეში (1 მანეთი 17 ფორინტს უდრის). პრემირება ხდება გეგმის გადამეტებით შესრულებული სამუშაოსათვის.

მოსახლეობის კოოპერირების საკითხში „დუნაის" კოოპერატივი ტიპური არ არის. კოოპერატივის წევრების 80 პროცენტი მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობს და საკუთარი საქონლის მოვლა-შენახვაზე (სათანადო მიწის ნაკვეთისა და სათავსოების უქონლობის გამო) ხელი ადვილად არ მიუწვდება. სხვა მეურნეობებთან შედარებით აქ კოოპერირების მასშტაბები მცირეა, მაგრამ თვისებრივად სხვების იდენტურია. კოოპერირებაში ჩაბმულ მშრომელებს, როგორც სხვაგან ისე აქაც, გამოსაზრდელად აძლევენ მოზარდს და საკმაო საკვებს. გამოზრდილ პირუტყვს იბარებს კოოპერატივი და მშრომელს უხდის ხორცის ღირებულებას. ანაზღაურება ხდება საკვებისა და მოზარდის საწყისი ღირებულების, აგრეთვე მომსახურების მცირე ხარჯების გამოკლებით. კოოპერირებაში ჩაბმულებს უფლება აქვთ გამოზარდონ რამდენიც სურთ, იმდენი პირუტყვი, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი წლის განმავლობაში კოოპერატივში იმუშავებენ სულ ცოტა 2.400 საათს.

კარლ მარქსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლის საქმიანობასაც გავეცანით, პატარა ქალაქ ჰოდმეზევაშარჰელის გარეუბანშია. კოოპერატივის ახალგაზრდა თავმჯდომარე პიტერ ბრენდო, რომელიც საქართველოში ტურისტად არის ნამყოფი, ძლიერ შეეცადა დაწვრილებით გაეცნო თავიანთი საქმიანობა.

კოოპერატივის მთლიანი ფართობი 5.000 ჰექტარამდეა. აქ სულ 440 კაცი მუშაობს. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი 24 კაცია. ყველას უმაღლესი განათლება აქვს. წარმოების სფეროში ჩაბმულია 360 კაცი. დაახლოებით 80 კაცი წარმოების სფეროში არ არის ჩაბმული. ესენი არიან — ტექნიკური პერსონალი, დარაჯები, დამლაგებლები და ა. შ. მშრომელთა 70 პროცენტს შეადგენენ კვალიფიცირებული მუშები, 200 მუშაკი 20 წელზე ახალგაზრდაა. მეცხოველეობაში მუდმივად დასაქმებულია 180 კაცი, მევენახეობასა და მეხილეობაში — 20 კაცი და ა. შ. ხელფასს უხდიან გამომუშავებული პროდუქციის მიხედვით. საშუალოდ თვეში თითოეული 4.000 ფორინტს იღებს, ინჟინერ-ტექნიკოსს კი საშუალოდ 6.000 ფორინტამდე ხელფასი აქვს.

კოოპერატივის ძირითადი პროფილი მეღორეობაა. ყოველწლიურად დაახლოებით 30 ათასამდე გოჭს იღებენ. აქედან დაახლოებით 20 ათასს თვითონ ზრდიან და ასუქებენ. თითო ქუბიდან, საშუალოდ 12-13 გოჭს იღებენ.

ღორების ფერმა კაპიტალურ ნაგებობათა მთელი კომპლექსია, სადაც 34-მდე შენობაა. ფერმაში თითქმის ყველა პროცესი (ტექნოლოგია, ნაწილობრივ გათბობაც) ელექტრიფიცირებულია, რის გამოც პროდუქციის თვითღირებულება დიდია. ასეთ ფერმებს ამჟამად აღარ აშენებენ. პირუტყვის შენახვა, როგორც ამას წვრილი მეურნეობების მაგალითი ადასტურებს, უფრო მარტივად შეიძლება. ღორების საკვებად ძირითადად თავიანთ კოოპერატივში მოწეულ მოსავალს იყენებენ. საკვები მასის შემზადება კოოპერატივშივე ხდება. კილოგრამი ხორცის წარმოებაზე ხარჯავენ დაახლოებით 3,7-4,2 კილოგრამ საკვებს. ყოველწლიურად დაახლოებით 10 ათას ტონამდე საკვები იხარჯება და ღებულობენ თითქმის ამდენივე ნაკელს, რომელიც მთლიანად გააქვთ მინდორში სასუქად. ფერმისა და მინდვრის ასეთი კავშირით აღწევენ სწორედ დიდ შედეგებს.

ღორს მხოლოდ მაშინ ყიდიან, როცა 110-120 კილოგრამს მიაღწევს. 1981 წელს კოოპერატივმა 27 ათასი ცენტნერი ღორის ხორცი აწარმოვა. მეღორეობის გარდა კოოპერატივი მისდევს მებოსტნეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას, მევენახეობას, მეხილეობას და ა. შ.

თერმულ წყლებს აქ ჩინებულად იყენებენ. 1968 წლიდან მისდევენ სასათბურე მებოსტნეობას: აქვთ 12 ჰექტარი სათბური, სადაც მოჰყავთ პამიდორი და წიწაკა, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე ნედლეულის სახით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უგზავნიან. სათბურის ერთ კვადრატულ მეტრზე წელიწადში დაახლოებით 400 ფორინტის პროდუქციას იღებენ.

პურს 1.300 ჰექტარზე თესავენ და საშუალოდ 50 ცენტნერ მოსავალს იღებენ. სიმინდსაც 1.300 ჰექტარზე თესავენ და საშუალოდ 70 ცენტნერს იღებენ. ასეთივე უხვი მოსავალი მოჰყავთ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა მეურნეობებშიც. აქ თესლბრუნვის საქმე მაღალ დონეზეა. ამჟამად უნგრეთში ერთ სულ მოსახლეზე 1.300 კილოგრამ მარცვლეულს აწარმოებენ. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია, რაც მათ საშუალებას აძლევს საკმაოდ ჰქონდეთ პურიც და პირუტყვის საკვებიც.

უნგრეთში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სანაშენე საქმეს. სასელექციო და სანაშენე სამეცნიერო დაწესებულებებს სახელმწიფო უხვად აფინანსებს. ამის წყალობით ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერება, პირუტყვის პროდუქტიულობა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. დღეს უნგრეთის საზოგადოებრივ მეურნეობებსა და წვრილ დამხმარე და საკარმიდამო მეურნეობებში სახორცედ ზრდიან ისეთ ჯიშიან პირუტყვს, რომელიც ქონს არ იკიდებს. ეს ორმხრივ სასარგებლოა: ჯერ ერთი, ქონზე ნაკლები მოთხოვნილებაა, და მეორეც ქონის წარმოქმნაზე ხომ ორჯერ მეტი საკვები იხარჯება. მათ ჰყავთ 1.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ამდენივე ცხვარი.

კოოპერატივს კოოპერირების კარგი ტრადიციები აქვს. კოლმეურნეების თითქმის ნახევარი თავის გოჭებს ზრდის, დანარჩენს კოოპერატივი აძლევს. მშრომელი კოოპერატივიდან იღებს პირუტყვის საკვებს — დაახლოებით 3,6-4 კილოგრამს ყოველ კილოგრამ ხორცზე. კოოპერატივი უწევს მათ ვეტმომსახურეობასაც. გოჭის, საკვებისა და მომსახურეობის ხარჯების დაქვითვის შემდეგ კოლმეურნეს კილოგრამ ხორცში 6-7 ფორინტი წმინდა მოგება რჩება. მას უფლება აქვს რამდენიც უნდა, იმდენი ღორი გაასუქოს.

მაღაზიებსა და სავაჭრო წერტებში თავისუფლად იყიდება პირუტყვის საკვები. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველწლიურად ქვეყანაში წარმოებული 13 მილიონი ტონა მარცვლეულიდან 9-10 მილიონ ტონა კომბინირებულ საკვებს ამზადებენ. აქედან 3 მილიონ ტონამდე საკვები კერძო სექტორის პირუტყვს ხმარდება. დღეისათვის უნგრეთში თითოეულ მცხოვრებზე ნაკლავის წონით 150 კილოგრამ ხორცს აწარმოებენ.

არიან კოოპერატივის ისეთი წევრებიც, რომლებიც თავიანთ გოჭებს ზრდიან საკუთარი საკვებით. კილოგრამი ხორცის სახელმწიფო შესასყიდი ფასი 29-32 ფორინტია. მშრომელს, ურჩევნია წინასწარ იცოდეს, თუ რას მიიღებს თავის შრომაში და ამიტომ კოოპერირებას უპირატესობას აძლევს. იგი გარანტირებულია ბაზრის კონკურენციისაგან, ხარისხის დაკლებით გამოწვეული ხარჯებისაგან და ა. შ. მოსახლეობას ყოველი წლის შემოდგომაზე აცნობებენ ხოლმე, თუ როგორი იქნება მომავალი წლისათვის შესასყიდი ფასები. ეს წვრილ მწარმოებელს საშუალებას აძლევს გარკვეული ორიენტაცია ჰქონდეს სამომავლოდ.

კოოპერირებაში ჩაბმული მშრომლებისაგან კოოპერატივი ღორს იბარებს ცოცხალი წონით, საერთო დათვალიერებით საზღვრავს ხორცის ხარისხს. კოოპერირების წესით კარლ მარქსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივიდან სახელმწიფო ყოველწლიურად საშუალოდ 7,5-8 ათას ცენტნერ ხორცს იღებს, საზოგადოებრივი სექტორიდან კი, როგორც აღვნიშნეთ, 27 ათას ცენტნერს. უნგრეთისათვის ასეთი კოოპერატივი საშუალოდ ითვლება. არის უფრო ძლიერი კოოპერატივებიც.

საშუალება გვქონდა დაგვეთვალიერებინა ღორის ხორცის წარმოების კოოპერირებაში ჩაბმული ცოლ-ქმარ კოტოლ და ლასლო ფოკაშების კერძო საღორე. ისინი მრავალსართულიან შენობაში ცხოვრობენ და საკარმიდამო ნაკვეთი არ აქვთ. საღორისათვის ქალაქის მესვეურებისაგან გარეუბანში გამოყოფილი აქვთ 200 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. ამაში ისინი წელიწადში ათას ფორინტს იხდიან. ეს ნაკვეთი შემოღობილია და შიგ დგას მეტად პრიმიტიული საღორე, რომელიც მავთულბადეზე მიკრული ფირფიტებით არის შემოღობილი. იატაკი ფიცრისაა, სახურავი — რუბეროიდის. ღორებს დღეში ორჯერ გობებში უყრიან საკვებს. დასარწყულებლად პირუტყვი გამოჰყავთ ეზოში, ან გობში უსხამენ წყალს. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ხორცის წარმოებაზე საღორის ხარჯები ძლიერ მცირეა. ამავე დროს ღორებს არასამუშაო დროს უვლიან. ისინი კოოპერატივში ხელფასის სახით წელიწადში 45-50 ათას ფორინტს იღებენ. კოოპერირების გზით ოჯახურ ბიუჯეტს 20 ათას ფორინტამდე ემატება. ამიტომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ხალისით ებმებიან კოოპერირებაში.

ტოლნოს ოლქის სოფელ ტოლნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ოქროს თავთავი" ორი სუსტი კოოპერატივის გაერთიანებით 1959 წელს შეიქმნა. კოოპერატივს 3.100 ჰექტარი სავარგული აქვს და 800 კაცი პატრონობს. აქ მთავარი დარგი მემცენარეობაა. 1.600 ჰექტარზე მარცვლეული უთესიათ, 57 ჰექტარზე ვენახი აქვთ გაშენებული, 55 ჰექტარზე — ხეხილი, 70 ჰექტარზე ლობიო მოჰყავთ, 20 ჰექტარზე — წიწაკა. სოფლის სავარგულები შედარებით მწირია. დიდი შრომის ფასად ისინი ყოველ ჰექტარზე საშუალოდ იწევენ 48 ცენტნერ ხორბალს, 70 ცენტნერ სიმინდს, 26 ცენტნერ მზესუმზირას, 70 ცენტნერ ლობიოს და ა. შ.

მისდევენ აგრეთვე მეცხოველეობას, ჰყავთ 660 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 250 მეწველი ფური. თითოეულ ძროხაზე საშუალოდ 4.400 ლიტრ რძეს წველიან. ყოველწლიურად საშუალოდ 2.000 — 2.200 ღორს და 170-180 სულ საქონელს ყიდიან. თითო კილოგრამი ღორის ხორცის წარმოებაზე ხარჯავენ 4,5 კილოგრამ საკვებს. ჰყავთ 280-300 ათასი ფრთა ფრინველი. ყოველწლიურად აბარებენ 400 ტონა ფრინველის ხორცს. კილოგრამი ფრინველის ხორცის წარმოებაზე 2,5 კილოგრამ საკვებს ხარჯავენ.

კოოპერატივს ღორის ხორცის წარმოებაზე ხელშეკრულება აქვს დადებული 270 კოლმეურნესთან, რომელთაც შეღავათიან ფასებში აძლევენ საკვებს. შარშან კოოპერირებაში ჩაბმულ გლეხებს 10 ტონა სიმინდი და 60 ტონა ხორბალი მიჰყიდეს და 6,5 ჰექტარი სორგოს ნათესი მოათიბინეს.

კოოპერირებას ხელმძღვანელობს ერთი მებაღე-ინჟინერი. იგი ხელმძღვანელობს კოოპერირებას, აფორმებს ხელშეკრულებებს, აძლევს საკვებს, თვალყურს ადევნებს ღორების გამოკვებას, ორგანიზაციას უკეთებს ღორების ჩაბარებას და ა. შ. ამ საქმეზე გამოყოფილია ერთტონიანი სატვირთო მანქანა და 2-3 მტვირთავი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩასაბარებელი ღორების რკინიგზის სადგურამდე მიყვანას. კოოპერირებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს იხილავს ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიც არ შეჰყავთ კოოპერატივის ხელმძღვანელობა.

კოოპერატივის წევრს ეძლევა 0,62 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ამ მიწის ერთ მეოთხედზე კოლმეურნეს მოჰყავს ის კულტურა (მაგალითად, წიწაკა), რომელიც კოოპერატივს უფრო სჭირდება. კოოპერატივი კოლმეურნეს დამუშავებულ მიწას აძლევს, დავის თავის ასაცილებლად მიწის ნაკვეთი ყოველწლიურად სხვადასხვა ადგილას ეძლევა. ფართობის ერთ მეოთხედზე მოყვანილ მოსავალს კოლმეურნე თვითღირებულების ფასში აბარებს კოოპერატივს. დანარჩენ ფართობზე კოლმეურნეს მოჰყავს მისთვის სასურველი ერთწლოვანი კულტურა. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი კოლმეურნეს ეძლევა სავალდებულო მინიმუმის გამომუშავების შემთხვევაში. თუ კოოპერატივის წევრი საერთოდ უარს ამბობს 0,62 ჰექტარ მიწის ნაკვეთის დამუშავებაზე, კოოპერატივი მას უხდის ამ მიწის საფასურად დაახლოებით 8 ათას ფორინტს, ან აძლევს ამ ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას — სიმინდს, ხორბალს და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ოქროს თავთავში" შექმნეს საკუთარი ფონდები და კოოპერატივის წევრს აძლევენ 18-დღიან შვებულებას. თუ მას არ სურს დასასვენებლად წასვლა, იგი მიიღებს ფულად კომპენსაციას დღეში 120-დან 250 ფორინტამდე, შესაბამისად მისი გამომუშავებისა. ავადმყოფობის დროს ეძლევათ ხელფასის 70 პროცენტი.

უნგრელთა გამოცდილების გაზიარება და ახლის ძიება, უეჭველია, საქართველოს სოფლის მშრომელებს დაეხმარებათ სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში, უფრო დიდი შედეგების მიღწევაში.

ტ. ჩიქოვანი,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

მრავალი შვილი—ძალა ქვეყნისა

მიქაძის ოჯახის ბედნიერება

ბედნიერია აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოს მცხოვრებ ვლადიმერ გიორგის ძე მიქაძისა და ვალენტინა პეტრეს ასულ კოლუპაევას ოჯახი, რომელიც 17 წლის წინათ შეიქმნა. ფეოდოსიელმა ქალმა გულით შეიყვარა აქაურობა და ოჯახის ნამდვილი ბურჯი გამოდგა. ახლა იგი რვა შვილის დედაა. უფროსი ქალიშვილი სვეტლანა ფრიადოსანია და მეათე კლასში გადავიდა, უმცროსს — ლიას მხოლოდ ერთი წელი შეუსრულდა.

— გამრჯე ადამიანია, სამშობლოს რვა შვილს უზრდის, თავისუფალ დროს აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო სამუშაოებში, — ასე დაახასიათეს სოფლის ხელმძღვანელებმა ოჯახის დედა. ვალენტინა ქართულად ლაპარაკობს და შვილებიც ქართულ საშუალო სკოლაში დადიან. დიდად კმაყოფილი არიან სამიქაოს საშუალო სკოლის მასწავლებლები ვალენტინას ბავშვებით.

ვლადიმერ მიქაძე მძღოლია, ოც წელზე მეტია უზის ტაქსის საჭეს და თავაზიანად ემსახურება მშრომელებს.

ახლახან მიქაძეების ოჯახმა ქალაქის ცენტრში სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა მიიღო.

— და ყველა ამ სიკეთეს ხალხს, მშობლიურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას უმადლის მიქაძეების სვებედნიერი ოჯახი, რომელიც პატიოსან შრომაში, მომავალ ფიქრსა და ოცნებაში ხედა ნამდვილ ბედნიერებას.

ივ. თოფურია.

სურათზე: ვლადიმერ და ვალენტინა მიქაძეები შვილებით.
ჰ. ჯალაღანიას ფოტო

შეხვედრა გმირ დედებთან

მრავალშვილიანი დედა... რამდენს გვეუბნება ეს ორი სიტყვა, რამდენ თეთრად გათეულ ღამეს, ფიქრსა და ოცნებას იტევს იგი. ჩვენში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ოდითგან ასეთ დედებს და ხალხისთვის, მამულისთვის თავდადებულ ვაჟკაცთა გვერდით იხსენიებდნენ მუდამ. ასე იყო ყველგან, მთელ საქართველოში. ასე ზუგდიდის რაიონშიც. საკმარისია გაეცნოთ ინგირისა და ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე კახათისა და რუხის კოლმეურნეობებში მომუშავე მრავალშვილიან დედათა საყოფაცხოვრებო პირობებს, რომ თავადვე დარწმუნდეთ, თუ რამდენი რამ კეთდება რაიონში მათი შრომის, საზოგადო თუ საოჯახო ტვირთის შესამსუბუქებლად. შეუძლებელია შინაგანი კმაყოფილების გრძნობა არ დაგეუფლოს, როცა რიყის, ორჯონიკიძის, ახალსოფლის, დარჩელის, ინგირის საბავშვო ბაღებში ნაირგვარი სათამაშოებით გართული პატარების ჟრიამულს ისმენ, ანდა კოლმეურნეობათა საქმიან ქალალდებსა და ლავთრებს ათვალიერებ. გმირი დედებისათვის არც დასასვენებელი სახლის საგზური დაუშურებია ვინმეს, და არც ერთდროული დახმარების მიცემა. მათ შეუძლიათ ურიგოდ შეიძინონ ავეჯი, მაცივარი, ტელევიზორი, ავტომანქანა და, ამასთან განუზომელია ის სიყვარული და პატივი, რომელსაც ყოველი შეხვედრისას მიაგებენ ხოლმე გმირ დედებს.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ნათელყო ამასწინანდელმა ამაღლევებელმა შეხვედრამ რაიონის მრავალშვილიან დედებთან, რომელიც ზუგდიდის კულტურის სასახლეში გაიმართა.

საზეიმო შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კუტალიამ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ.

გულში ჩამწვდომი სიტყვებით მიმართეს გმირ დედებს ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორმა მ. ბარათაშვილმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ჯაფარიძემ და სხვებმა.

დედობა გმირობაა თავისთავად — ითქვა შეკრებაზე — მაგრამ ათგზის გმირობაა ათისა და მეტი შვილის დედობა. დარბაზში შეკრებილთა ისედაც ამაღლებულ განწყობილებას თავისებური სილამაზე შესძინა მშვენიერმა მხატვრულმა წარმოდგენამ საპატიო სტუმრის — საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნანი ბრეგვაძის მონაწილეობით.

შეკრებას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" კორესპონდენტი ე. აგაშინა, რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

გმირ დედებს სამახსოვრო სუვენირები — ფაიფურის ლარნაკები გადასცეს რაიონის ხელმძღვანელებმა.

და ეს ამაღლევებელი შეხვედრა აღერდა როგორც გმირი დედების, ჩვენი ერის, მამულის ამამაღლებელი, დამამშვენებელი სახელოვანი ქალების შრომისა და ღირსების საყოველთაო სადიდებელი.

ზ. ცხონდია,
ზუგდიდის საქალაქო და რაიონული გაზეთ „მებრძოლის" რედაქტორის მოადგილე.

● ●

ქვემოთ ვაქვეყნებთ პოეტ **მარიკა ბარათაშვილის** გამოსვლას.

ძვირფასო მეგობრებო!

სიყვარულით მოგესალმებით საქართველოს დედობის ამ ზეიმზე შეკრებილთ — ზუგდიდის რაიონისა და მთელი საქართველოს საამაყო ქალებს, მრავალშვილიან დედებს.

უნდა ვაღიარო, რომ ქართველი მწერლები და ჟურნალისტები ჯერ კიდევ დიდ ვალში ვართ თქვენს წინაშე, რადგან ჯერ კიდევ მთელი სისავსით ვერ აგვისახავს თქვენი კაიქალობა, თქვენი დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე.

ვინ არ იცის, რა ძნელია შვილის შობა და აღზრდა! რამდენიმესი ხომ — მართლაც გმირობაა, დიდი გმირობა, თანაც დღეს, როდესაც ქალს ქვეყნის წინაშე დედობის გარდა, კიდევ სხვა დიდი მოვალეობებიც აკისრია.

მაგრამ ამაშია სწორედ თქვენი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა! რა სიმდიდრეს იმკით ხანდაზმულობაში თქვენი აღზრდილი ვაჟკაცებით და ქალებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით. რა შეედრება იმ სიხარულს, პატარების ჭყლოპინით და ჟრიამულით რომ ივსება კარ-მიდამო!

ისიც ხომ ცნობილია, რომ დედობა, მრავალშვილიანობა ქალს აჯანმრთელებს, ახალისებს, აახალგაზრდავებს, იმიტომაც გამოიყურებით ასე ლამაზად, ასე კარგად, ჩემო ძვირფასებო!

ამ დარბაზში, ვხედავ, მრავალშვილიანი მამებიც არიან, რომლებიც უყურებენ ამ ზეიმს, უსმენენ თქვენს ქება-დიდებას და ალბათ ფიქრობენ: კი, მაგრამ, ჩვენც ხომ მიგვიძღვის რაღაც წვლილი ოჯახების მრავალშვილიანობაში და მათ აღზრდაშიო?

მართლები არიან! კარგი მეუღლეები რომ არ გყოლოდათ, რომელი თქვენგანი გაბედავდა 10-12 და მეტი შვილის შობას; კარგი მამები რომ არ იყვნენ, ვინ აღაზრდევინებდათ ამ შვილებს! ამიტომ მადლობა, დიდი მადლობა ყველა ღირსეულ მამას, ვინც გვერდში გიდგათ და თქვენთან ერთად ზრდის და აფრთიანებს ჩვენი ერის იმედსა და მომავალს, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღ, კაცთმოყვარე, შრომისმოყვარე ადამიანებს, ჩვენი ხვალინდელი დღის მუშას, კოლმეურნეს, აგრონომს, ექიმს, მასწავლებელს, ინჟინერს, მწერალს, კომპოზიტორს, მხატვარს თუ სპორტსმენს.

დღევანდელმა ამ შეკრებამ ჩემი შორეული ბავშვობა მომაგონა: საზაფხულო არდადეგებზე სოფელში ბებიასთან გატარებული დღეები, ბებიაჩემი ხელს რომ ჩამავლებდა და სოფელში გამიყოლებდა. მაშინ ჩვენს სოფელში, ისევე, როგორც საქართველოს ყველა სხვა სოფელში, თითქმის ყველა ოჯახი მრავალშვილიანი იყო: საფიქრალი და საზრუნავი მხოლოდ ის ჰქონდათ, როგორ გამოეკვებათ და შეემოსათ ბავშვები, და მაინც, როგორც ვინმე შემოგვხვდებოდა, მისალმებისთანავე, ბებიაჩემის პირველი შეკითხვა იყო: „რამდენი შვილი გყავს, შვილო?"

მაშინ ეს მიკვირდა, მიკვირდა, რადგან ჯერ კიდევ ზღაპრების საუფლოში ვცხოვრობდი და სხვა საოცნებო მქონდა, ზღაპრულ მზეთუნახაობას ვნატრობდი, მის ჯადოსნურ ძალას, რომ სოფლის ღარიბული ქოხები სასახლეებით შემეცვალა, გაჭირვება — დალხინებით და ყველა ბავშვი უზრუნველი და ბედნიერი ყოფილიყო.

ზემო იმერეთის ის ჩემი სოფელი მთაგორიანია და სახნავსათესით არასოდეს ყოფილა გალაღებული. მისი გლეხობა ჭიათურის მაღაროებში ათენაღამებდა, რომ როგორმე გამოეკვება ცოლ-შვილი. ვხედავდი, რა გაჭირვებით ამოდიოდნენ დამაშვრალი ადამიანები ხეობიდან ღამით, ჩაბნელებულ სოფელში, ანდა იმ აღმართებზე, 1-2 კილომეტრზე როგორ ამოჰქონდათ ჭალიდან ქალებს ჩაფებით წყალი, და გული სიბრალულით მეკუმშებოდა.

ახლა ჩემი სოფლის ყოველ მოსახლეს შუქიც აქვს, წყალიც, ლამაზი და კეთილმოწყობილი სახლებიც, სკოლაც და კლუბიც, მაგრამ მე შიშით ველარავის ვეკითხები, რამდენი შვილი გყავთ-მეთქი, რადგან ვიცი, გულს ვერ გამიხარებენ.

...შარშანწინ რთველობას კახეთში ვიყავი. იქ ერთი სოფლის ზვართან შევჩერდი, სადაც შუადღის შესვენებაზე ოცამდე ქალი ვენახიდან ჩრდილში გამოსულიყო.

მოვიკითხე, როგორ არიან, როგორ ცხოვრობენ, რა ულხინთ, რა უჭირთ. კარგადო, მიპასუხეს ერთხმად, და გზისპირას ჩამწკრივებულ, თავიანთ ორსართულიან, ყვავილნარში და ხეხილში ჩაფლულ სახლებზე მიმითითეს. ჩემს მეორე შეკითხვაზე ასეთი მხიარული, ერთსულოვანი პასუხი აღარ მიმიღია: თურმე ყველა მათგანს მხოლოდ თითო-ოროლა შვილი ჰყოლია, ისინიც სასწავლებლად თუ საცხოვრებლად ქალაქში გაკრეფილან და მშობლებს რთველობას სტუმრად თუ ჩამოაკითხავენ ხოლმე.

იქიდან რომ ვბრუნდებოდი, თითქოს ველარ ვამჩნევდი მართლაც და საოცრად აშენებულ და დამშვენებულ კარ-მიდამოებს...

ვისთვის ვაშენებთ, რისთვის ვაშენებთ, ვინ უნდა იცხოვროს იმ ჩვენს მუხლჩაუხრელი შრომით ნაშენებში, ვინ უნდა გამრავლდეს, განამტკიცოს და გააძლიეროს ჩვენი ოჯახი, გვარი, სოფელი, ქალაქი, მთლად ჩვენი სათაყვანო — ეს საქართველო?

თვალს ნუ მოვუხუჭავთ სინამდვილეს, ხმამაღლა გამოვთქვათ შიში, რომელიც გულს გაკენწლავს ხოლმე; გადავხედოთ საქართველოს რაიონებს, ზოგან რომ სიკვდილი ჭარბობს შობადობას და მოსახლეობის მატება ბოლო ზღვარამდე დასულა, გავიაზროთ, რამდენი, ოდესღაც გონებისა და მკლავის ძალით განთქმული საგვარეულო, თუ ჯერ არ გადაშენებულა, დგას ამ საშიშროების წინაშე. გადავთვალოთ სევდის მომგვრელად აჭედილი ჭიშკრები, კარ-ფანჯრები, მდუმარებაში ჩაძირული ოდები...

ჩვენ ყველანი ვართ იმისი მოწმე, რამდენი რამ კეთდება ახლა ჩვენში იმისთვის, რომ სიცოცხლე დაუბრუნდეს ათეული წლების წინ მიტოვებულ მთის სოფლებს: თუშეთ-ხევსურეთს, სვანეთს, მესხეთ-ჯავახეთს, როგორ იზეიმა ხალხმა ჭერემის ხელახალი დაბადება...

ვისაც ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის წინა საახალწლო გამოსვლა მოუსმენია, უთუოდ დამეთანხმება, რომ ასეთი შთამბეჭდავი და ჩამაფიქრებელი სიტყვა ერის სასიცოცხლო ინტერესებზე ჯერ რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან, ალბათ, არასოდეს მოგვისმენია. მთავარი კი ის არის, რომ ამ სიტყვების მიღმა დიდი საქმე დგას — პარტიისა და მთავრობის არაერთი უმნიშვნელოვანესი დადგენილება და ღონისძიება ოჯახების გაძლიერებას ისახავს მიზნად.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ზუგდიდელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად აუბეს მხარი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ამ მეცადინეობას. მე მინდა მადლობა ვუთხრა კახათის, რუხის, ინგირისა და სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, ხოლო განსაკუთრებით — პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანს ამხანაგ ივლიანე თოდუას მრავალშვილიან ოჯახებზე და, საერთოდ, მშრომელთა ოჯახებზე გულმხურვალე ზრუნვისათვის, იმისათვის, რომ ზუგდიდის სოფლებს ტოლი არა ჰყავთ რესპუბლიკაში სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების სიმრავლით.

საქვეყნოდ აქვს განთქმული სახელი ზუგდიდის რაიონს. არაერთი შესანიშნავი თაოსნობა გამოუჩენიათ აქ და შემდგომ მოსდებია მთელ საქართველოს. აქეთ ხშირად მოდიან რებიან მოწინავე გამოცდილების გასაცნობად და გასაზიარებლად.

ჰოდა, ახლა, ამ მშვენიერი თავყრილობის პრეზიდიუმში რომ ვიჯექი, იცით რა ვიფიქრე? — რა იქნება, აქ კიდევ ერთი მოწინავე გამოცდილების სკოლა რომ გაიხსნას-მეთქი.

დაე, ჩამოვიდნენ ზუგდიდის რაიონში ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმო-დაწესებულებების, თუ გნებავთ — რაიონების ხელმძღვანელებიც, და ნახონ, როგორ უნდა ზრუნვა საკუთარი კუთხის მერმისისათვის, რომლის აკვანიც სწორედ თითოეულ ოდაში ირწევა.

დაე, ჩამოვიდნენ ახალშეუღლებული წყვილები, დაიარონ თქვენი გულის გამხარებელი ოჯახები და თავიანთი თვალით ნახონ, ძვირფასო ქალებო, რაშია ჭეშმარიტი ბედნიერება.

ამაზე ძვირფასი გამოცდილების კერა რაღა უნდა იყოს? გულით მშვიდობებით მომავალ შეხვედრამდე და ვიმედოვნებ, რომ შეხვედრისათვის უფრო მეტნი იქნებით. ვესიყვარულები თქვენს ნათელ შუბლს, კეთილ გულს და დაშაშრულ ხელებს, თქვენს „იავნანასა" და „სისატურას", მინდა დაგლოცოთ, მაგრამ როგორ?

ადამიანს რომ დალოცავენ, ეტყვიან: ღმერთმა გამრავლოს და გაბედნიეროს, მოგცეს ჯანმრთელი და გული მხიარული, ხვავი და ბარაქაო.

ეს ყველაფერი თქვენ უხვად გაქვთ მომადლებული თქვენივე კარგი ქალობის წყალობით და არც არასოდეს დაგელევათ. ამიტომ მე გისურვებთ სამშობლოს ულრუბლო, მშვიდობიან ზეცას, მშვიდობას თქვენს ჭერქვეშ და თქვენს გულებში!

მარიკა ბარათაშვილი

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები მოვლენები

7 აგვისტო

გზა დაუხშეს პროექტს

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აშკარად დაუჭირა მხარი ტელ-ავივის თავხედურ აგრესიას ლიბანის წინააღმდეგ, როცა უშიშროების საბჭოში გზა დაუხშო რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოუწოდებდა მსოფლიო გაერთიანების ყველა წევრ ქვეყანას ყოველგვარი სამხედრო დახმარება შეეწყვიტონ ისრაელს.

პროექტში, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომაზე, გამოთქმული იყო გულისწყრომა აგრესორის უარის გამო, შეესრულებინა საბჭოს ყველა წინანდელი გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის, საოკუპაციო ჯარების გაყვანისა და ბეირუთის რაიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა განლაგების შესახებ.

როგორც ამერიკის მიერ დადებული ვეტო მოწმობს, ვაშინგტონი მზად არის ბოლომდე წააქეზოს აგრესორი ლიბანის დედაქალაქის მთლიანად მოსპობისათვის.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ნ. დორმა (ირლანდია), რომელმაც მხარი დაუჭირა საბჭოთა პროექტს, განაცხადა, რომ საბჭომ უკვე შვიდი რეზოლუცია მიიღო ლიბანში შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შესრულებულა. უშიშროების საბჭო ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას.

სხდომის დახურვისას, საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბეირუთში შექმნილი კრიზისული ვითარების გამო იგი კვლავაც საბჭოს ყურადღების ცენტრში იქნება.

შეიპყრეს ნეონაცისტი

ვენა. ავსტრიის პოლიციამ დააპატიმრა დამნაშავე, რომელსაც ბრალად ედება ამ ბოლო ხანს ზალცბურგსა და ვენაში რამდენიმე ტერორისტული აქტის ჩადენა, კერძოდ, სამი თვითნაკეთი ბომბის აფეთქება და დედაქალაქის ფავორიტენის რაიონში ანტიფაშისტთა ძეგლის შებილწვა.

იგი აღმოჩნდა დასავლეთგერმანელი ნეონაცისტი და ტერორისტი ეკერჰარდ ვაილი, რომელსაც პოლიცია დიდხანს ეძებდა. მის სინდისზეა ათობით დანაშაული დასავლეთ ბერლინსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — ხანძრის გაჩენა, პოლიტიკური შანტაჟი, ადამიანებზე თავდასხმა. სწორედ მან 1977 წლის 1 აგვისტოს საზარელი აქცია ჩაიდინა დასავლეთ ბერლინში საბჭოთა მეომრების ძეგლის მიმართ, რომლის დროსაც მძიმედ დაიჭრა ძეგლთან საპატიო ყარაულში მდგომი საბჭოთა ჯარისკაცი.

მთავრობიდან გავიდნენ

რომი. იტალიაში დაიწყო ახალი პოლიტიკური კრიზისი. იტალიის სოციალისტური პარტიის სამდივნოს ხანგრძლივი თათბირის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება მთავრობის შემადგენლობიდან შვიდი სოციალისტი მინისტრის გამოსვლის შესახებ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ორი დღის წინათ დეპუტატთა პალატაში ფარული კენჭისყრით არ მიიღეს კანონპროექტი ნავთობის კომპანიებისათვის დამატებითი გადასახადების შემოღების თაობაზე.

კაბინეტიდან სოციალისტთა გამოსვლის შემდეგ მთავრობის კოალიციამ, რომელშიც ხუთი პარტია შედის, დაკარგა პარლამენტში საჭირო უმრავლესობა. აქ მიაჩნიათ, რომ მოსალოდნელია კაბინეტის გადადგომა, რამდენადაც მმართველ პარტიებს შორის მწვავე უთანხმოებაა ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო საკითხებში.

დოკუმენტები ამხილებენ

დელი. პეკინი კვლავ მხარს უჭერს ინდოეთში სეპარატისტულ და ნაციონალისტურ დაჯგუფებებს, რომლებიც მოქმედებენ ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში. როგორც მანიპურის შტატის მთავარი მინისტრი რიშანგ კეიშინგი იუწყება, უშიშროების ძალების მიერ ხელში ჩაგდებული დოკუმენტები უცილობლად მოწმობენ, რომ შტატის ტერიტორიაზე მოქმედი ექსტრემისტთა იატაკქვეშა ქვეგანაყოფების ნაძირალები წვრთნას გადიან ტიბეტის ლხასის რაიონში. როგორც მთავარმა მინისტრმა თქვა, დაპატიმრებულ ბანდიტებს ჩამოართვეს სხვადასხვა უცხოური, ძირითადად ჩინური იარაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СЭ ТРЭЕШТЬ, МОЛДОВЭ ЫНСОРИТЭ!

გამარჯობა, მზიურო მოლდავეთო!

ტრადიციისამებრ მოლდავეთში ძვირფას სტუმრებს პურ-მარილით ხვდებიან.

მშრომელთა სახელით

სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები ჩვენი სამოქმედო პროგრამაა. ვშრომობ და ვცხოვრობ იმისათვის, რომ საპატიო წვლილი შევიტანო ამ დადგენილებათა განხორციელების საქმეში.

საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის დიდი დღესასწაულისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად რომ ვიღვწით, ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ ჩვენი საწარმოს მშრომელთა შრომა ჩართულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მთლიან ციკლში. ამიტომ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ჩვენზე დამოკიდებული სხვა რესპუბლიკების საწარმოთა, აგრეთვე საქართველოს საწარმოთა რიტმული მუშაობაც არ დაირღვეს.

ჩვენს ქართველ კოლეგებს რამდენიმე სიტყვით მინდა გავაცნო მოლდავეთის სახალხო მეურნეობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის შედეგები და მომავლის ამოცანები. მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის მშრომელთა რეალური შემოსავალი თითქმის 20 პროცენტით გადიდდა. მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიურმა ხელფასმა — 18, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებამ 30 პროცენტით მოიმატა. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 7 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები, 100 ათასი ადგილით გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ხოლო სკოლამდელთა დაწესებულებები — 45 ათასი ადგილით.

მეთერთმეტე ხუთწლედში უფრო დიდი ამოცანებია დასახული. განვითარდება მრეწველობა, ტრანსპორტი, მთავარი ყურადღება მიექცევა სასურსათო პროგრამის განხორციელებას. 1985 წლისათვის რესპუბლიკაში დამზადდება 1,5 მილიონი ტონა ხილი. საერთო-საკავშირო ფონდში ყურძნის წარმოება 36 პროცენტით გაიზრდება.

მარტო წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები, აქედან მნიშვნელოვან ფართობს ჩვენი ტრესტი აშენებს. ეს მე, როგორც მშენებელთა ბრიგადირს, დიდი ამოცანების წინაშე მაყენებს, და ვფიქრობ, კვლავაც თავი არ შევირცხვინოთ, გადამეტებით შევასრულოთ დავალება.

ი. როშკა,
„მოლდლიტმშენის" ტრესტის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შენდება დედაქალაქი

მოლდავეთის დედაქალაქი კიშინიოვი, დღითი დღე იცვლება და ფართოვდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ქალაქის ცენტრის სამხრეთ ნაწილზე. საცხოვრებელი მასივები „ბოტანიკი", „რამკანოვკა", „ახალი ბოიუკანი" და „ბუდეშტი" ქალაქის ყველაზე კეთილმოწყობილი და მაღალი კულტურის უბნებია.

ქალაქის ტრანსპორტის მუშაობის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ კეთდება. შენდება ტროლეიბუსების, ავტობუსების ახალი პარკები. ყოველწლიურად მატულობს სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა.

დიდი ყურადღება ექცევა დედაქალაქის მშრომელთა სამედიცინო მომსახურებას. ვითარდება ქარხნებში საამქროული სამედიცინო მომსახურება. ქალაქში სულ უფრო მეტი სამედიცინო დაწესებულება შენდება. ასევე ითქმის სავაჭრო მომსახურებაზე.

კიშინიოველები თვალნათლივ ხედავენ, რომ მათი დედაქალაქი სულ უფრო ლამაზდება, კეთილმოწყობილი ხდება.

საგულისხმო ციფრები

☐ **მეთერთმეტე** ხუთწლედში რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება 82 პროცენტით გადიდდება. უფრო დინამიკურად განვითარდება ლითონდასამუშავებელი და ხელსაწყოთმშენებლობის წარმოება. ეს დარგები 1985 წლისათვის გამოუშვებენ 1.810 მილიონი მანეთის პროდუქციას.

ხუთწლედში სამჯერ გადიდდება მსუბუქი მრეწველობა. ბამბეულის ქსოვილების წარმოება გადიდდება 2,4-ჯერ.

☐ **მოლდავეთის** სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ხუთწლედის მანძილზე გათვალისწინებულია 2 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი. სოფლად 120 ათასი ჰექტარი მიწა გაწყლიერდება. ამასთან შეიქმნება ბაღ-ვენახების სარწყავად წვეთოვანი რწყვის გამოყენების სისტემა 17-20 ათას ჰექტარზე.

ყურძნის საშუალო წლიური წარმოება მეთერთმეტე ხუთწლედში გადიდდება 1,5-1,6 მილიონ ტონამდე, ხილის და კენკრისა — 1,4—1,6 მილიონ ტონამდე.

☐ **რესპუბლიკაში** მიმდინარეობს მზადება ფერადი ტელევიზორების (61 სანტიმეტრი დიაგონალისა) გამოსაშვებად. საწარმოში სამუშაოდ ახალგაზრდებს სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში უკვე ამზადებენ.

☐ **მოლდავეთის** კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიიღეს და წარმოება მალე გამოუშვებს დაკონსერვებულ ფხვნილს, ბოსტნეულს, გემრიელ ხილის წვენებს და ბრიკეტებს. უკვე გამოდის მწვანე ბარდის ფხვნილი და სხვა ნაწარმი.

სლობოძეის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო ბაღი „ილიჩის ხსოვნა" უდიდესია ჩვენს ქვეყანაში. ოცდაათ კილომეტრზე მეტ მანძილზე გასდევს იგი ტირასპოლ-ოდესის ავტოგზატკეცილს. პალმეტური ტიპის ხე აქ კარგ მოსავალს — ჰექტარზე 200 ცენტნერ ვაშლს იძლევა.

სურათზე: ვაშლის კრეფა.



ბაღ-ვენახების

რესპუბლიკა

რეპორტაჟი მოლდავეთიდან

ქართული კასა მარე: ცნობილი მწერალი იონ დრუცე თავის სახელგანთქმულ პიესაში „კასა მარე" ამაღლებულად, ამაღელვებლად და დამაჯერებლად მოგვითხრობს მოლდავეთში ათიდან-ბაბადან საამაყო კასა მარეს (სპეციალურად მომზადებული დარბაზი, სადაც საპატიო სტუმარს იღებენ) შესახებ, სტუმართმოყვარეობის, ადამიანური სიყვარულისა და მომავლის დიდი რწმენის შესახებ.

მოლდაველს რომ ჰკითხოთ, რა არის კასა მარეო, თვალები გაუბრწყინდება, გაიღიმებს და გეტყვით: კასა მარე ყველა მოლდაველის სახლშიაო. ეს არის სტუმრისათვის მოწყობილი სპეციალური ოთახი, სადაც მხოლოდ მეტად საპატიო და... საყვარელ ადამიანს იღებენ, ხოლო თუ მარტოხელა ქალმა გაბედა და ამ დარბაზში მიიღო კაცი, იგი მისი მეუღლე უნდა გახდეს. კასა მარე წმინდა გრძნობებისა და წრფელი სიყვარულის უსიტყვოდ გამჟღავნების ადგილსაც ნიშნავს.

ეს — ოჯახებში, მაგრამ მოლდავეთში ბევრი საზოგადოებრივი კასა მარეა, სადაც ამ დღეებში, როცა წინ სსრ კავშირის შექმნის მესამოცე წლისთავის დღესასწაულია, მრავალეროვანი ქვეყნის სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს გულღიად მასპინძლობენ მოლდაველები.

ამ საზეიმო დღეებში მთლად მოლდავეთია ერთიანი კასა მარე, მაგრამ მეტად საპატიო სტუმარს კიშინიოვიდან ისე როგორ გაუშვებენ, რომ სტრაშენის რაიონის სოფელ კოჟუშნოში, ქართულ კასა მარეში არ მიიწვიონ. მკითხველი, ალბათ, გაოცდება და იტყვის, მოლდავეთში ქართულ კასა მარეს რა უნდაო. თუ ქართულია, კასა მარე კი არა, სასტუმრო დარბაზი იქნებაო... მაშ, მოდით, რამდენიმე წუთით ჩვენი მკითხველი წარმოდგენით მოლდავეთის ერთ ჩვეულებრივ ძლიერ სოფელში — კოჟუშნოში გადავიყვანოთ...

კიშინიოვიდან ჩრდილოეთით მივდივართ. დიდ, ლამაზნაპირებიან ტბას (მოლდაველები კიშინიოვის ზღვას რომ უწოდებენ) რომ გავცდებით, მარცხნივ ფიქალებითა და კლდის ნამსხვრევებისაგან ნაშენი უზარმაზარი მოსაცდელია, რომლის თავზე დაკოჟრილი ხის ძელებისაგან გაკეთებულია წარწერა: „კოჟუშნო". აქედან იწყება რამდენიმე ათასკომლიანი სოფელი. გზის ორივე მხარეს სანაქებოდ მოვლილი ვენახები და ხეხილის ბაღებია. უმეტესად რქაწითლისა და საფერავის ზვრებია. კაცი იტყვის, სად მოლდავეთი და სად ქართული ვაზიო. ეს კიდევ არაფერი: სოფელს რომ მივუახლოვდით, უზარმაზარი ლამპიონებით განათებული კეთილმოწყობილი ქუჩის მარჯვენა მხარეს ქვითკირით ნაგები და წითელი კრამიტით გადახურული რამდენიმე ათეული ორსართულიანი სახლია.

ამ სახლების მნახველი მართლაც იტყვის, რა ხელმა ააგოო. არ ვაჭარბებთ, საშვილიშვილოდ ნაგები სახლებია. თითოეულ ორსართულიან სახლს სადარბაზო შესასვლელი ორივე მხარეს აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულში ორ-ორი ოჯახი ცხოვრობს. სახლის ერთი მხარე (პირველი-მეორე სართულის 80 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი) ერთ მეკომურს უჭირავს, მეორე მხარე კი სხვას. ბინები ქალაქურ ყაიდაზეა მოწყობილი: პირველ სართულზე სამზარეულოში ყოველთვის არის ცივი და ცხელი წყალი, ისეთი საბაზანოა, ბევრ ქალაქელს შეშურდება.

ჩვენ ისეთი დირექტორი გვყავს, რომ იმედი გვაქვს, მალე მეურნეობის ყველა მუშას ექნება ასეთი კეთილმოწყობილი ბინაო, სიამაყით ამბობენ კოჟუშნოელები. ჯერჯერობით ასორმოცდაათამდე ოჯახი ცხოვრობს ასეთ სახლებში. ოცდაათზე მეტი სახლი მალე დამთავრდება, წლის ბოლომდე ასამდე მუშა მიიღებს კეთილმოწყობილ ბინას. სოფელში გრანდიოზული კულტურის სახლია, ჩინებული მაღაზიებიც არის, მაგრამ კოჟუშნოელებს ეს არ აკმაყოფილებთ: აქ შენდება კინოთეატრი, სავაჭრო ცენტრი, სასოფლო საბჭოს შენობა, და, რაც მთავარია, მევენახეობის ტექნიკუმის მთელი კომპლექსი. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ ასეთი სასწავლო კომპლექსი არა მარტო მოლდავეთში, მთელ კავშირშიც კი არ იქნება.

აქაური მშრომელები ყოველგვარი სიკეთის ღირსი არიან. ყოველწლიურად 5.000 ტონა ყურძენს, 500 ტონა ხილს, დიდძალ ბოსტნეულს იწევენ. მეურნეობას აქვს თავისი ყურძნის გადასამუშავებელი და ღვინის ჩამოსასხმელი ქარხნები. გარდა ამისა, რაიონის ამ ზონის ღვინის ქარხნებიც თავიანთ პროდუქციას აქ გზავნიან. ეს იმიტომ, რომ მეურნეობის ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა ჯერჯერობით საკუთარი წარმოების პროდუქციით მთელი წლის მანძილზე ვერ იტვირთება. ხუმრობა ხომ არ არის, აქ წელიწადში ორ მილიონ დეკალიტრამდე სხვადასხვა ღვინოს ასხამენ ლამაზიარლიყიან ბოთლებში და არა მარტო მთელ კავშირში, არამედ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც გზავნიან მოლდავურ სურნელოვან ღვინოებს. მოლდავური ღვინოები თანდათან იხვეჭს საუკეთესო სასმელის (მსოფლიო სტანდარტის) სახელს. ამაზე მეტყველებს იარლიყებზე გამოსახული ბევრი ოქროს და ვერცხლის მედალი.

მგონი, თავიდან დაწყებული საუბრის თემას გადავუხვიეთ, მაგრამ ეს მოკლე ეკონომიკური ექსკურსიც საჭიროა. რეპორტაჟის დასაწყისში ვთქვით, რომ კოჟუშნოში, ისე როგორც მთელ მოლდავეთში, რამდენიმე შესანიშნავი საზოგადოებრივი კასა მარე აქვთ-მეთქი. აქაურები ხუმრობით კოჟუშნოს ქართულ კასა მარეს უწოდებენ, რადგან ამ შესანიშნავად მოწყობილი დარბაზების არქიტექტორი (არ მოგვერიდება ამ გამოთქმისა) და ნამდვილი შემოქმედი კოჟუშნოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი საშუალო ხანს მიღწეული ქართველი კაცი რევაზ ლომთაძეა.

მევენახის სახლზე, რომელიც შუა ზვრებშია აშენებული, ღვინის ბიბლიოთეკასა და მიწისქვეშა ორ თეთრსა და ქვის დარბაზზე ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ:

მევენახის სახლი. პირველი სართულის კიბეები და ჰოლი თეთრი მარმარილოთია მოპირკეთებული. დასასვენებელი დარბაზის კედლები და ჭერი ჰორიზონტალურად, შაიბების მსგავსად დაჭრილი მუხის ხით არის მოპირკეთებული. სამზარეულო, საშხაპე, მარმარილოს დიდი აუზიც და ფინური აბანოც პირველ სართულზეა. მეორე სართულზე შესანიშნავი დარბაზი და საძინებელი ოთახებია, ხოლო ხით მოპირკეთებული აივნები სახურავზე გადის. ირგვლივ კი ჩინებულად მოვლილი ხეხილის ბაღები და ვენახებია. შენობის ირგვლივ მოლდავური ორნამენტებითა და ჩუქურთმებით დამშვენებული ხის წვეტიანგუმბათიანი კოშკებია. მთელი ეს ანსამბლი მნახველზე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ იმართება საზღვარგარეთელი და მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული მევენახეობის სპეციალისტთა შეხვედრები, სადაც ამ დარგის განვითარების პრობლემებზე მსჯელობენ ხოლმე.

მიწისქვეშა სასახლეები, ღვინის ბიბლიოთეკა, თეთრი და ქვის დარბაზები. მეურნეობა-ტექნიკუმის ცენტრში, ყურძნის გადასამუშავებელი და ღვინის ჩამოსასხმელი ქარხნების გვერდით რიყის ქვისაგან ახლადაგებული ქართული ციხე-კოშკია (ამბობენ, მოლდავეთშიც არის ამ ტიპის ციხე-კოშკები და ეს იმის ასლიაო). კოშკის გვერდით, მიწის ქვეშეთში ჩავდივართ და რამდენიმე კილომეტრი სიგრძის ღვინის ბიბლიოთეკაში (ორ მილიონამდე ბოთლი სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა დროს ჩამოსხმული ღვინოები აწყვია თაროებზე), რომ დააბიჯებ. ოთხ პატარა დარბაზსა და კასრების საცავს, აგრეთვე თეთრსა და ქვის დარბაზებს რომ ნახავს კაცი, დაავიწყდება, რომ ამ ქვესკნელის გარდა ზემოთ სხვა რაიმე არსებობს. კოჟუშნოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმი არა მარტო კავშირში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი და საინტერესო საზოგადოებრივი საწარმოა. მცირე ზომის დარბაზებსა და ღვინოსაცავებში ტყეში ნაპოვნი მუხისა და სხვა ჯიშის ხეთა კუნძებისაგან სპეციალური ნივთიერებით დამუშავებული და დიდი მხატვრული ღირებულების მქონე ნივთებია (მაგიდები, ტახტები, უზარმაზარი სასანთლეები, სკამები).

თეთრი და ქვის უზარმაზარი თაღოვანი დარბაზები, რომლებიც ერთმანეთის გვერდით არის, მეტროს შესანიშნავად მოპირკეთებული სადგურები გეგონება. განსხვავება ის გახლავთ, რომ ამ დარბაზებში მთელ სიგრძეზე დიდებული მაგიდები და მშვენიერი სკამებია ჩამწკრივებული და ბეთჰოვენის მუსიკა ისმის. უზარმაზარ მაგიდებზე მუხის ხის შანდლებში სანთლები იწვის და გგონია, ეკლესიაში ხარ, და არა ღვინის ქარხანაში. თეთრ დარბაზში ხისა და პლასტმასის მასალებისაგან თანამედროვე სტილით დამზადებული მაგიდები და სკამებია. სკამები, მაგიდა და ჭაღები თეთრად ბრწყინავს ელექტროსინათლეზე. კედლები და ჭერიც ისეთი მასალებისაგან არის მოპირკეთებული, რომ მნახველზე დიდ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, ხოლო ქვის დარბაზი მთლად ათასნაირი, ფერადი ქვებით არის მოპირკეთებული, მაგიდები და მაღალსაზურგიანი სკამები მუხის ხისაგან არის დამზადებული. აქ ქვის კედლები და თაღოვანი ჭერი ისეა განათებული, რომ კაცს ახალი ათონის ზღაპრულ მღვიმეში ეგონება თავი.

...და ეს ყველაფერი ჩვენი თანამემამულის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, ორმოცდახუთი წლის ნიჭიერი და დიდი ორგანიზატორის რევაზ ლომთაძის პროექტით, უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით არის გაკეთებული 1979 წლის შვიდ თვეში (დრო განსაზღვრული იყო, რადგან მაშინ აგვისტოში მოლდავეთში მევენახეთა და მეღვინეთა მსოფლიო კონგრესი გაიმართა). კოჟუშნოს მეურნეობა-ტექნიკუმის ამ ახალმა მიწისზედა და ქვესკნელის ნაგებობებმა მნახველები მოაჯადოვა: სიმართლე უნდა ითქვას, საქართველოში, მევენახეობისა და მეღვინეობის ამ კლასიკურ ქვეყანაში, ასეთი ღვინის ქარხანა და სარდაფები არსად მეგულება. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ორი მოძმე ხალხის საქმიანობა ერთმანეთს დავუპირისპიროთ, არამედ იმიტომ, რომ ფანტაზიასა და ნიჭს როცა მწვანე გზა ეძლევა და დიდებული რაიმე კეთდება, კლასიკური ქვეყნის მევენახეებმა (მოლდავეთში ყველგან, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ყველგან მაღალშტამბიანი და განიერმწკრივებიანი ვენახები შესანიშნავად არის მოვლილი, ხოლო ვაშლის ბაღები მთლად პალმეტური წესით არის გაშენებული და იოლი მოსავლელია) ბევრი რამ შეიძლება გადმოიღონ.

მოლდავეთში მოგზაურობის დაწყებისთანავე კიშინიოვში შევხვდი ლაგოდეხის კოლმეურნეობის ცნობილ თავმჯდომარეს, თითქმის ყველა ორდენის კავალერს ევგენი დუქმასოვს (რომელიც 34 წელიწადია კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს) და ამავე კოლმეურნეობის ჰერეთის კარის აგროკომპლექსის განყოფილების გამგეს ზურაბ ბახტურიძეს. ისინი მოლდავეთში დიდ და ერთობ კარგ საქმეზე იყვნენ ჩასულები. საქმე ის გახლავთ, რომ მოლდავეთში კარგა ხანია ამერიკული „ვირჯინიის" ჯიშის თამბაქო მოჰყავთ, რომელიც საუკეთესო ხარისხის ნედლეულს იძლევა და იოლი მოსავლელია. მოლდაველებმა თამბაქოს აუნემსავად და სწრაფად შრობის მეთოდი ბულგარეთიდან გადმოიღეს და მათგან წამოიღეს თამბაქოს ფოთლების საშრობი დანადგარებიც, რომლებითაც ფოთლის ხმობის ვადა მინიმუმამდეა შემცირებული. რაც მთავარია, მეთამბაქოეობაში მძიმე შრომა — ფოთლის ხელით ანემსვა — აღარ არის საჭირო. მოკრეფილ ფოთოლს დანადგარებში აწყობენ და რამდენიმე დღეში მთლად გამხმარ-დარბილებულ ნედლეულს გასამუშავებლად საფერმენტაციო ქარხანას აბარებენ.

ლაგოდეხელებმა მოლდაველთა საუკეთესოდ მოვლილი ზვრები და პალმეტური წესით გაშენებული ხეხილის ბაღები რომ ნახეს, აღფრთოვანება ვერ დაფარეს.

— განა არ შეიძლება ჩვენთანაც გადმოვიღოთ ვენახის მოვლა-პატრონობის მოლდავური მეთოდი? — მეკითხება ე. დუქმასოვი.

— რატომ არ შეიძლება, — ჩემ მაგივრად უპასუხა კოჟუშნოს მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორმა რ. ლომთაძემ, — მთავარი მონდომება, შრომის უმაღლესი და მკაცრი დისციპლინა და კარგი ანაზღაურებაა.

— მე მგონია, ამაზე ფიქრი და ზრუნვა, მეგობრების მოწინავე შრომის მეთოდების გადმოღება მართლაც ღირს, — ამბობს ზ. ბახტურიძე და თან დასძენს, — აბა შეხედეთ ვენახის კულტივატორს. მას უკან ჩამოწერილი ტრაქტორის ძველი მუხლუხები მთელ სიგანეზე აქვს დამაგრებული და როგორ კარგად აფხვიერებს მიწას. ამას აუცილებლად გავაკეთებ ჰერეთის კარში და ნახავთ, რა კარგ შედეგს მივიღებთ.

— სხვათა გამოცდილების გაზიარება სათაკილო როდია!

— კაი გამართული ქართულით ამბობს ე. დუქმასოვი, — ხომ გახსოვთ ქართული ანდაზა: სწავლა სიბერემდეო. ამ ხნის კაცი ვარ, და უამრავ აგრარულ და მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობ (ბევრი ქართველი პოეტის ლექსები ზეპირად იცის და როცა სჭირდება კარგი დეკლამატორივით კითხულობს კიდეც). ახლა მოლდავურსაც გადმოვიღებთ.

მსოფლიო სტანდარტებით: როცა რესპუბლიკაზე რეპორტაჟი იწერება, ავტორი თითქმის ყოველთვის მრეწველობით იწყებს ხოლმე. მე ეს, ასე ვთქვათ, წესი განგებ დავარღვიე, რადგან მოლდავეთი ძირითადად აგრარული ქვეყანაა და ამასთან მეც მეიოლება ამ თემაზე წერა, რადგან აგრარიკოსი ჟურნალისტი ვარ. ახლა კი რესპუბლიკის მრეწველობაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე, მოლდაველი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე ვილაპარაკოთ.

კიშინიოვი — მოლდავეთის დედაქალაქი — თბილისივით დიდი ხნისა როდია. როგორც დასახლება, 1466 წლიდან იხსენიება და ეს წელი ითვლება კიშინიოვის დაარსების წლად. ამ ქალაქში 1820-1823 წლებში ცხოვრობდა იქ გადასახლებაში მყოფი ა. ს. პუშკინი. აქ ცხოვრობდნენ დეკაბრისტები მ. ორლოვი, ვ. რაევსკი, პ. პესტელი. სწორედ მათმა იქ ყოფნამ მოახდინა დიდი გავლენა ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. კიშინიოვში შეიქმნა ამ საუკუნის დამდეგს გაზეთ „ისკრის" პირველი არალეგალური სტამბა. ამ ქალაქთან არის დაკავშირებული სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირების გ. ი. კოტოვსკის, ს. გ. ლაზოს და ი. ე. იაკირის სახელები. საბჭოთა ხელისუფლება აქ 1918 წლის 1 (14) იანვარს დამყარდა. სამამულო ომის წლებში კიშინიოვმა დიდი როლი შეასრულა ფაშისტების განადგურებაში. 1966 წელს კიშინიოვი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

რესპუბლიკის დედაქალაქი, ისე როგორც მთლად მოლდავეთი, საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ცხოვრობს.

ქ. ტირასპოლი მოლდავეთის დედამდინარის — დნესტრის მარცხენა ნაპირზე 1792 წელს რუსი მხედართმთავრის ა. ვ. სუვოროვის ხელმძღვანელობით დაარსდა, როგორც ციხესიმაგრე.

ტირასპოლი რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. 1919-1920 წლებში აქ იყო კავალერიის ბრიგადის შტაბი გ. ი. კოტოვსკის მეთაურობით. ქალაქში 1920 წლის თებერვალში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და 1924-1940 წლებში (ვიდრე ბესარაბია მოლდავეთს შეუერთდებოდა) მოლდავეთის ასს რესპუბლიკის დედაქალაქი იყო.

რესპუბლიკის აღმშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს თანამემამულეებს — ლაგოდეხის მკვიდრს, მოლდავეთის სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილეს ს. საამოვს და ქ. შოლდანეშტის რკინაბეტონის ნაკეთობათა დიდი საწარმოს დირექტორს ჯ. თოდუას.

ათ წელზე მეტია სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტისა" და მონათესავე საწარმოს — ქ. ტირასპოლის „მოლდაველექტროიზოლიტის" ქარხანა. ამ ორი საწარმოს შრომითმა მეტოქეობამ ხელი შეუწყო ამ ქარხნების მშრომელთა ძმური მეგობრობის განმტკიცებას.

კოდრი, დნესტრი, ქართველი დასტაქარი და სამბო. ეს სიტყვები მარტო მკითხველის დასაინტერესებლად კი არ მოვიგონეთ. ჩვენ გვინდა გიამბოთ კოდრზე, ანუ მოლდავეთის ტყეებზე, მდინარე დნესტრზე, ქართველ დასტაქარსა და სამბოს ჩვენებურ მწვრთნელზე.

ბევრი ჟურნალისტი ახლა ჩახვეულ-ჩახლართული წინადადებებით აღარ ცდილობს მკითხველის გულის მონადირებას. თუ გვინდა, რომ დაგვიჯერონ, სათქმელი პირდაპირ, უბრალოდ, და გასაგებად უნდა ითქვას. ამიტომ ჩვენც უბრალოდ გიამბობთ კოდრზე, დნესტრზე, დასტაქარსა და მწვრთნელზე. ყოველ მათგანთან ხომ საქართველოა დაკავშირებული!

როგორც აღვნიშნეთ, მოლდავურად კოდრი ტყეს ნიშნავს. რესპუბლიკას შუაზე ჩრდილოეთიდან უკრაინის სსრ ოდესის ოლქის საზღვრამდე შესანიშნავად ნაპატრონები ტყე გასდევს. რესპუბლიკის სიამაყეა ეს ტყეები და მისი სიყვარულით „კოდრი" ჰქვია კიშინიოვის ერთ-ერთ ლამაზ მოედანს, კაფეს, სახელმწიფო ანსამბლს და მოლდავეთის მწერალთა კავშირის რუსულ ჟურნალს. ჟურნალ „კოდრის" პასუხისმგებელი მდივანია მწერალი ევგენი გაბუნია, რომლის ნაწარმოებებს მოლდავეთში დიდი ინტერესით კითხულობენ. ევგენი დიდი ხანია კიშინიოვში მოღვაწეობს. წერს მოლდავეთის სისხლსავსე ცხოვრებასა და მოლდაველ მშრომელებზე. მისი ნაწარმოებები, მართლაც რომ, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი.

დნესტრს მოლდავეთის დედა-მდინარეს უწოდებენ. ეს მდინარე მოლდავეთს — ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მთელ სიგრძეზე — 600 კილომეტრზე სერავს. მდინარის თვალწარმტაც ნაპირებზე გადაშლილია პურისა და სიმინდის ყანები, საძოვრები, ბაღ-ვენახები, ტყეები. დნესტრი დიდი სანაოსნო მდინარეა. ცისფერ გზებზე სამდინარო გემებით დიდძალი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადააქვთ.

გივი ხონელიძეს ყოველდღიურმა შრომამ, ადამიანებთან გულთბილმა დამოკიდებულებამ, ავადმყოფებზე ზრუნვამ ჭეშმარიტი დასტაქრისა და მკურნალის სახელი მოუპოვა. 1947 წელს დაამთავრა გივიმ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მოლდავეთის ჩრდილოეთით ერთ მიგდებულ რაიონში გაამწესეს ექიმად. თავიდანვე ქირურგობა იტაცებდა და ეს ჯანმრთელობის დაცვის რაიონულ განყოფილებაში რომ შენიშნეს, მაშინვე კიშინიოვში ორდინატურაში გააგზავნეს. ექვსი თვის მანძილზე ცნობილი პროფესორები ასწავლიდნენ დასტაქრობას და როცა რაიონში დაბრუნდა, უკვე მყარ ნიადაგზე მდგომ ექიმად მიიჩნია თავი.

— პირველი ოპერაცია არასოდეს არ დამავიწყდება, — ამბობს გივი ბაგრატის ძე, — სოფლის გლეხკაცს ათეული წლის მანძილზე თიაქარი აწუხებდა. რამდენიმე წუთში კაცმა შვება იგრძნო და ღრმა ძილს მისცა თავი. მთელ თოთხმეტ საათს ეძინა, რომ გაიღვიძა, სულ სხვა კაცად იგრძნო თავი და აღარ იცოდა, რით გამოეხატა მადლობა. სიმართლე გითხრათ, მისი გვარი აღარ მახსოვს. დაუდევრობაა, უნდა ჩამეწერა ჩემი პირველი პაციენტის გვარი და სახელი. ისე კი იმ კაცზე ნაკლებად როდი ვიყავი მადლობელი ჩემი თავისა. ადამიანს სატკივარი მოაცილო, შვება და ჯანი დაუბრუნო, სიხარული მიანიჭო, ამაზე კარგი, ვფიქრობ, ამ ქვეყნად არაფერია.

გივი ხონელიძე ამჟამად კიშინიოვის ონკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია. ეს ახოვანი, ჯანღონით სავსე, სახეზე სიკეთემოფენილი კაცი მთელ მოლდავეთში უყვართ, პატივს სცემენ და აფასებენ.

სოფელ კოჟუშნოში ზვრები, ხეხილის ბაღები, მევენახეობის მეურნეობა-ტექნიკუმი, ღვინის ქარხანა და ღვინის ბიბლიოთეკა რომ დავათვალიერეთ, გივი ხონელიძემ ქართულ კასა მარეში — ქვის დარბაზში ჩვენებურად წაუმღერა.

— რამდენი ხანია ქართულად არ გიმღერიათ, გივი ბატონო? — შევეკითხე.

ცრემლიანი თვალთა უპეები ცხვირსახოცით ამოიწმინდა, მერე კი ძლივს წაილაპარაკა: თქვენ გაგახარათ ღმერთმა, რომ ამ ღვინის ქვესკნელში საქართველო მიჩვენეთ. სიმღერით კი, მართლაც კაი ხანია არ მიმღერია. ორი წელი იქნება, რაც თბილისში დედა დავკრძალეთ. მას შემდეგ პირველად მომინდა სიმღერა.

ძალიან მაწუხებს, რომ ჩვენი თანამემამულეები, კიშინიოვის ჰოსპიტლის უფროსი სულიკო ლორთქიფანიძე და სამბოში რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ირაკლი ვალიშვილი ვერა ვნახეთ. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შევხვდით პატივცემულ ირაკლის, ჩვენს მკითხველებს კი უნდა მოვახსენოთ თვით მოლდაველთა აზრი: მოლდავეთში ჭიდაობის და განსაკუთრებით სამბოს აღორძინება ი. ვალიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

ალბათ, ბევრი სხვა ქართველი თუ საქართველოში დაბადებული და აღზრდილი კაცი მუშაობს მოლდავეთში. მოგვიტევონ, თუ ამ რეპორტაჟში ისინი ვერ მოხვდნენ, რადგან მოკლე დროში ვერ დავადგინეთ, ვინ სად მუშაობს. ისე კი, საქართველოდან სხვაგან წასული კაცის გული და გონება ჩვენს მთა-ბარშია და მის იქით კარგ საქმეს რომ აკეთებენ ამით არა მარტო თავიანთ თავს განადიდებენ, არამედ საქართველოს ასახელებენ, რამეთუ თავის გამოჩენა ყველგან შეიძლება, მაგრამ სხვა მხარეში დიდ საქმეთა კეთება იმ ერს განადიდებს, რომელსაც მთელი არსებით ეკუთვნი.

ვახტანგ გოზალიშვილი.
კიშინიოვი, თბილისი.

სურათზე: (მარცხნიდან — ს. კოჟუშნოს საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე ახლად აგებულ ციხე-ქალაქთან მეგობრულად საუბრობენ გ. ხონელიძე, ზ. ბახტურიძე, რ. ლომთაძე, ს. საამოვი და ე. დუქმასოვი.

ი. ზენინის ფოტო.

მოლდავეთის სსრ
კიშინიოვი

ვოკალის ახალი ვარსკვლავი

ასე უწოდეს ახალგაზრდა მომღერალს, მოლდავეთის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს სვეტლანა სტრეზევას, რომელმაც ამას წინათ მინსკში გამართულ მ. ი. გლინკას სახელობის ვოკალისტთა საკავშირო ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვა.

— ეს გამარჯვება, — ამბობს სვეტლანა — იოლად როდი მოვიპოვე. — კონკურსში ჩვენი ქვეყნის ძლიერი მომღერლები მონაწილეობდნენ. მე დამეხმარა კარგი ვოკალური მომზადება, რომელიც კიშინიოვის გ. მუზიჩესკუს სახელობის ხელოვნების ინსტიტუტში რესპუბლიკის სახალხო არტისტის პ. ბოტეზატის ხელმძღვანელობით მივიღე.

ამ წარმატებით აღფრთოვანებული სვეტლანა სტრეზევა კარგად გამოვიდა აგრეთვე პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე, რომელიც ამას წინათ მოსკოვში გაიმართა. მან მეხუთე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ქალაქი — სოფელს

ყურძენს მანქანით კრეფენ

რესპუბლიკის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „სოფლხილმანქანა" გამოცდის შემდეგ სერიულად უშვებს ყურძნის საკრეფ თვითმავალ კომბაინს.

მანქანა, რომელსაც ერთი მექანიზატორი მართავს, დღეში 100 მკრეფავს ათავისუფლებს და ყურძენს უდანაკარგოდ კრეფს. მანქანის გასაუმჯობესებლად გაერთიანების კონსტრუქტორები და ინჟინრები კვლავ დიდ სამუშაოს ასრულებენ.

ყურძნის კურკის ზეთი

ყურძნის კურკისაგან ზეთის მიღება ძველთაგანვე ცნობილია. ყურძნის კურკის ზეთი ერთ-ერთი კომპონენტია კვების, პარფიუმერიის და ფარმაკოლოგიის მრეწველობაში. ათ წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს ქ. კოკანდის (აგრეთვე ოდესის) ზეთსახდელ ქარხანას. რა თქმა უნდა ჯერჯერობით ბევრ ზეთს ვერ უშვებს ეს ქარხანა, მაგრამ მალე ერთობ მოიმატებს ამ საჭირო პროდუქტის წარმოება. კიშინიოვში აშენდა კურკის გადასამუშავებელი ქარხანა, რომელიც წელიწადში 10 ათას ტონა ყურძნის კურკას გადაამუშავებს (შარშან 740 ტონა გადამუშავდა).

ყურძნის კურკის დამზადების დავალებანი აქვთ მიცემული მოლდავეთის მთელ რიგ ღვინის ქარხნებს, რომლებიც ყურძნის გადამუშავების შემდეგ აშრობენ კურკას, ასუფთავებენ და ზეთსახდელ ქარხანას აბარებენ, საიდანაც მეტად საჭირო ძვირფას ზეთს ღებულობენ.

გამოცდაზეა ახალი ტრაქტორი

კიშინიოვის სატრაქტორო ქარხანაში დამთავრდა ახალი „ტ-70 ვ" ტრაქტორის გამოცდა. ქარხნის მიერ გამოშვებული მიწის დასამუშავებელ ტრაქტორთან შედარებით მას მეტი — 70 ცხენის ძალის მოტორი აქვს. მანქანას ახლებური სამართავი სისტემა, კომფორტული კაბინა და სხვა უპირატესობანი ტრაქტორისტს მუშაობის კარგ პირობებს უქმნის.

სურათზე: კიშინიოვის სატრაქტორო ქარხნის მიერ გამოშვებული ტრაქტორების გაგზავნა რკინიგზით.

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის

პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე

2. არჩილ მეფე, მიკლოშ კიში და ქართული შრიფტი ამსტერდამში

XVII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს კულტურულ-ისტორიული ინტერესები, მოსკოვის სამეფოს გზით, მოულოდნელად გადაეჯაჭვა ჰოლანდიას, კერძოდ, ამსტერდამს, სადაც მოღვაწეობდა იმ დროს უკვე საქვეყნოდ სახელგანთქმული უნგრელი (ტრანსილვანიელი) მესტამბე მიკლოშ კიში ტოტფალუში (1650-1702). ამდენად, ეს ფაქტი საქართველო-უნგრეთის მეგობრული ურთიერთობის ერთ უძველეს ფურცელსაც შეადგენს. ბუნებრივია, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს, როგორ მოხდა ეს?

* * *

სპარს-ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ სამხედრო დახმარებისა და პოლიტიკური მფარველობის საძიებლად იმერეთიდან ლტოლვილი არჩილ მეფე, თითქმის ხუთი წლის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, 1685 წლის 14 დეკემბერს მოსკოვს ჩავიდა. ამ პირველი ჩასვლისას არჩილმა რუსეთის სატახტო ქალაქში 1686-87 წლები დაყო და, როგორც ცნობილია, უმცროსი ძმის — ქართლის მეფე გიორგი XI-ის თხოვნით, 1688 წლის ივლისის დასაწყისში მოსკოვიდან უკან, საქართველოში გამოემგზავრა.

მანამდე კი, მოსკოვში ჩასვლისთანავე, არჩილი შედგომია ქართული სასტამბო შრიფტის ჩამოსხმისათვის ზრუნვას. ქრ. შარაშიძის სამართლიანი სიტყვებით. „სტამბის მოწყობის აზრი არჩილს საქართველოდანვე გაჰყოლია და ეს საქმე მას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. ცხადია, აგრეთვე, რომ ამ დროს არჩილი სასტამბო მოწყობილობას საქართველოში ჩამოსატანად ამზადებდა. იგი ჯერ კიდევ იმედებით იყო სავსე და ენერგიულად ემზადებოდა საქართველოში მოღვაწეობისათვის" (პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 79).

ამ მიზნით არჩილ მეფე მოსკოვში დაკავშირებია შვედ დიპლომატსა და მეცნიერს იოჰან გაბრიელ შპარვენფელდს (უფრო სწორი იქნებოდა სპარვენფელდი. მაგრამ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე 1937 წლიდან ასე დამკვიდრდა) რომელიც, როგორც ეს კარლ იაკობოვსკის მონოგრაფიიდან (სტოკჰოლმი, 1932) ირკვევა, მოსკოვს ჯერ კიდევ 1684 წლის 2 მაისს ჩამოსულა და აქ 1687 წლის 19 აგვისტომდე დარჩენილა. შპარვენფელდი ცნობილ ლინგვისტად ითვლებოდა, იცოდა აღმოსავლური ენები, ხოლო მოსკოვში რუსულიც უსწავლია. კ. ბიორკბომის თქმით, „იგი თავისუფლად წერდა და ლაპარაკობდა არანაკლებ 14 ენაზე". ლაიბნიცი მას „ღრმად მოაზროვნე მეცნიერს" უწოდებს და ერთ დროს გაცხოველებული მიმოწერაც ჰქონია შვედ სწავლულთან. სამშობლოში დაბრუნებულ შპარვენფელდს ბოლოს შვეციის სამეფო კარზე ობერჰოფცერემონმაისტერის თანამდებობისთვისაც კი მიუღწევია.

აი, სწორედ ამ შპარვენფელდის (1655-1727) მეშვეობით არჩილს მოსკოვიდან ქართული სასტამბო შრიფტი შეუკვეთია ამსტერდამში მოღვაწე ცნობილი უნგრელი ასოთქანდაკებლისა და მბეჭდავის მიკლოშ კიში ტოტფალუშისათვის.

ამის შესახებ დოკუმენტურ ცნობას გვაწვდის თვითონ შპარვენფელდი ერთ თავის ნაქონ წიგნზე 1700 წელს გაკეთებულ ფრანგულ მინაწერში:

„ჩემს [მოსკოვში ყოფნის] დროს ბაგრატიონთა გვარეულობა მეფობდა იმერეთში, გურჯისტანის ნაწილში და არჩილ მეფეს, რომელიც [იქიდან] გამოძევებული იყო და იდევნებოდა როგორც ოსმალების, ასევე სპარსელებისაგან, ვიცნობდი მე მოსკოვში. [სამშობლოში] წამოსვლისას მან მაჩუქა ხალათი. მე კი, სამაგიეროდ, შევუკვეთე მისთვის ქართული სასტამბო შრიფტი ამსტერდამში კიშს. ის [არჩილი] შეეცადა აღდგენილიყო თავის სამფლობელოში, მაგრამ ვერ მოუხერხდა. ამის გამო დაბრუნდა მოსკოვს, სადაც ცხოვრობს ამჟამადაც მეფე პეტრე ალექსის ძის ხელისუფლების ქვეშ. 1700".

მაშასადამე, არჩილ მეფის მიერ შვედი დიპლომატისა და სწავლულის შპარვენფელდის მეშვეობით მოსკოვიდან ამსტერდამში კიშისთვის ქართული შრიფტის შეკვეთა დოკუმენტურად დასტურდება.

მაინც ვინ იყო ეს კიში, რატომ მოხვდა ტრანსილვანიიდან ამსტერდამში და, სახელდობრ, როდის უნდა მიეღო მას არჩილ მეფისაგან ქართული შრიფტის ჩამოსხმის შეკვეთა?

* * *

1526 წელს, მოხაჩის კატასტროფის შემდეგ, დაიწყო უნგრეთის სამეფოს სწრაფი დაშლა და თურქების ბატონობა, რასაც იმთავითვე მოჰყვა ავსტრიელ ჰაბსბურგთა მხრივ ასეთივე დამპყრობლური პოლიტიკის გაძლიერება. უნგრეთი ოსმალეთისა და ავსტრიის საომარ ასპარეზად გადაიქცა, სადაც ორი მოქიშპე დამპყრობელი ერთმანეთს ეცილებოდა უნგრელი ხალხის დასამონებლად.

ასეთ პირობებში უნგრეთის სამეფო სამ ნაწილად დაიშალა: სულთანი, რომელიც დაინტერესებული იყო უნგრეთში ჰაბსბურგთა გავლენის დასუსტებით, 1541 წელს დათანხმდა აღმოსავლეთ უნგრეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე, სულთნის სიუზერენიტეტის აღიარების ფასად, ჩამოყალიბებულიყო შედარებით დამოუკიდებელი ტრანსილვანიის სამთავრო. უნგრეთის სამეფოს დანარჩენი ორი დამოუკიდებლობადაკარგული ნაწილიდან ერთი — ოსმალო თურქების მიერ იყო ოკუპირებული, ხოლო მეორე — დიდხანს ჰაბსბურგთა ბატონობის ქვეშ მოექცა.

შედარებით უფრო დამოუკიდებელი ტრანსილვანია 1604 წლიდან გახდა უნგრელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და, ამასთან კულტურული აღმავლობის ცენტრი. სწორედ ამ მხარეში, სოფელ მისტოტფალუში დაიბადა 1650 წელს მომავალი დიდი მესტამბე მიკლოშ კიში და ამიტომაც ეძახიან მას მისტოტფალუშის, იგივე, ტოტფალუშის, რაც ქართულად მისტოტფალუშელს, ტოტფალუშელს ნიშნავს.

მიკლოშ კიში სხვადასხვა დროს სწავლობდა ქ. ნადბანეში, აგრეთვე ქ. ნადენედში. იგი მოესწრო თავისი ქვეყნის ისეთ სახელგანთქმულ მეცნიერებს, როგორიც იყვნენ ჩერნატონი, კერესტური და აპაცაიჩერი, აგრეთვე ფერენც პაპაი პარიზი და იანოშ კოცეიუსი. 1670-იან წლებში მიკლოშ კიში უკვე საკმაოდ ცნობილი სწავლული, თანაც კარგი ორატორი და მუსიკოსი გახდა. 1680 წელს ტრანსილვანიის მთავარმა მიხაი აპაფიმ სასტამბო ხელოვნების დასაუფლებლად და უნგრული ბიბლიის გამოსაცემად მიკლოში ჰოლანდიაში, ამსტერდამს გაგზავნა.

ამსტერდამი ამ დროს მსოფლიოში სასტამბო კულტურის ცენტრად ითვლებოდა. სწორედ ამ ქალაქში სულ მალე იმდენად გაითქვა სახელი უნგრელმა ოსტატმა, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან თურმე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ურმით მოჰქონდათ ფული", ოღონდ კი მას შეკვეთა მიეღო შრიფტის ჩამოსხმაზე. 1684 წელს მიკლოშ კიშმა ამსტერდამში დაბეჭდა უნგრული ბიბლია, რომელიც „ოქროს ბიბლიის" სახელწოდებით არის ცნობილი უნგრული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში. 1685 წელს, ამსტერდამში ჩასული სომხების თხოვნით, მ. კიში ამზადებს სომხურ შრიფტს. ხოლო მალე, სასტამბო მეურნეობის გასაუმჯობესებლად მას თავისთან იწვევენ ტოსკანიის დიდი ჰერცოგი კოზიმო მედიჩი III და რომის პაპი ინოკენტი XI. ამავე პერიოდში მიკლოშ კიში შორეული მოსკოვიდან იღებს ქართველი მეფის არჩილის შეკვეთას და იგი იწყებს ქართულ შრიფტზე მუშაობას...

* * *

ეს უნდა მომხდარიყო 1686 წლის დასაწყისში, რადგან პირველ ცნობას არჩილ მეფის მიერ შეკვეთილი ქართული შრიფტის დამზადების მიმდინარეობაზე უკვე ვპოულობთ 1686 წლის 12 ნოემბერს და 1687 წლის 17 იანვარს ამსტერდამიდან მიკლოშ კიშის მიერ შპარვენფელდისადმი მოსკოვს ლათინურ ენაზე მოწერილ წერილებში. ისინი შვეციის ქალაქ ლინჩოპინგის საეპარქიო ბიბლიოთეკაში 1932 წელს გამოავლინა კარლ იაკობოვსკიმ და 1935 წელს სტოკჰოლმში გამოაქვეყნა კარლ ბიორკბომმა, ლათინურიდან ქართულად კი პროფ. გრ. წერეთლის დახმარებით პირველად 1937 წელს თარგმნა ქრ. შარაშიძემ, ხოლო უკანასკნელად, 1981 წელს, ახალი თარგმანი დაბეჭდა ფ. სიხარულიძემ.

მ. კიშის წერილებიდან დოკუმენტურად დასტურდება, რომ 1686-87 წლებში ამსტერდამში მას არა მარტო გამოუქანდაკებია (ამოუჭრია) ქართული შრიფტის სამივე სახეობა — ასომთავრული, ნუსხური და მხედრული, ე. ი. დაუმზადებია პუანსონები, არამედ კიდეც ჩამოუსხამს ისინი, ე. ი. დაუმზადებია მათი ლიტერები.

ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადებას გვიდასტურებს აგრეთვე თვით არჩილ მეფის წერილი, რომელიც 1687 წლის 17 დეკემბერს მოსკოვიდან ქართულ ენაზე მიუწერია ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, ამსტერდამის ბურგომისტრის ნიკოლა ვიტცენისათვის (1641-1717).

არჩილის ამ წერილის ფაქსიმილე, არჩილისა და ერეკლე I-ის შეწყვილებულ პორტრეტებთან ერთად, დაბეჭდილია ნიკოლა ვიტცენის ცნობილ ნაშრომში: „ჩრდილო და აღმოსავლეთი ტარტარია" (გამოიცა ამსტერდამში სამჯერ: 1692, 1705 და 1785 წლებში). აქედან არის იგი გადაბეჭდილი უნგრელი მეცნიერის ლ. დეჟეს წიგნში: „მიკლოშ კიში" (ბუდაპეშტი, 1899). ქართველოლოგთაგან მას პირველად ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა მ. ბროსემ, რომელმაც 1857 წელს გამოაქვეყნა მისი ფრანგული თარგმანი, ოღონდ მ. ბროსემ ძველი ქართული წელთაღრიცხვის მცდარი გამოანგარიშებით, არჩილის ეს წერილი შეცდომით 1686 წლით დაათარიღა, რაც გავრცელდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს შეცდომა ჯერ კიდევ 1936 წელს გაასწორა აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ, რომელმაც არჩილის წერილი სამართლიანად დაათარიღა 1687 წლით, მაგრამ რატომღაც დღემდე ამას სათანადო ანგარიშს არ უწევენ და არჩილის წერილს ვიტცენისადმი კვლავ მ. ბროსეს მცდარი დათარიღებით (1686 წ.) მოუთითებენ, მაშინ როდესაც სწორ თარიღს — 1687 წელს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადების ისტორიისათვის.

ახლა მოვუსმინოთ თვითონ მიკლოშ კიშს, რომელიც 1698 წელს ტრანსილვანიის დედაქალაქ კოლოჟვარში დაბეჭდილი თავისი სახელგანთქმული ავტობიოგრაფიული თხზულების „მენჩეგის" („თავის გასამართლებლად") ერთ ადგილას გვიამბობს:

„მე ვუწევდი დიდ სამსახურს არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებს, როგორიც არის პოლონეთი, შვეცია, ინგლისი, გერმანია, იტალია, არამედ ჩემს დახმარებას თხოულობდნენ დიდად დაშორებული ქვეყნებიც. როგორ შორს ცხოვრობენ ამსტერდამიდან სომხები, მაგრამ მე მათ ბევრი სარგებლობა მოვუტანე, **ხოლო სად არის საქართველო, ქვეყანა კავკასიონის მთების ძირში? მათ ადრე ბეჭდვა არ გააჩნდათ, არამედ ისევე როგორც თურქებს, მხოლოდ ხელნაწერები ჰქონდათ. მაგრამ იმათი მეფე [არჩილი] მოეკიდა ამ საქმეს და საკუთარი ხელით დამიწერა იმათი ანბანი და ტექსტი და გამომიგზავნა ამსტერდამში. მე კი არ მომეწონა მათი ფორმა და შევთავაზე უფრო ლამაზი ასოები, რითაც მათ ძლიერ გაიხარეს".**

დავანებოთ თავი იმას, რომ მ. კიშმა არაფერი იცის მასზე ადრე, 1629 წლიდან, რომში ქართული წიგნების დაბეჭდვის ფაქტების შესახებ. ყველაზე ძვირფასი ცნობა ჩვენთვის აქ მაინც ის არის, რომ მ. კიშისთვის ქართველთა მეფეს [არჩილს] თურმე საკუთარი ხელით დაუწერია ქართული ანბანი და ტექსტების ნიმუშები, რომლებიც უნგრელი ოსტატისთვის ამსტერდამში გადაუგზავნია, ამ უკანასკნელს კი ისინი „გაულამაზებია" (აქ არჩილის ხელნაწერი ასოებისთვის სტამბური ფორმის მიცემა და სტილიზება უნდა იგულისხმებოდეს), რაც ქართველებს თითქოს მოსწონებიათ და გახარებიათ კიდეც.

ამასვე ღაღადებს მიკლოშ კიშის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 1702 წელს, კოლოჟვარში ლათინურ ენაზე დაბეჭდილი ფურცელი, რომლის ერთადერთი ეგზემპლარია ჩვენამდე მოღწეული (გამოცემულია გ. ტოლნაისა და დ. ჰაიმანის მიერ 1978 წელს, ბუდაპეშტში). აქ მ. კიშის მოწაფეთა და მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა 30 სიტყვა და ლექსია დასტამბული, რომელთა შორის ერთ-ერთი ავტორი — მ. კიშის ერთგული შეგირდი შამუელ პაპ ტელეგდი „გმირ საქართველოს" უწოდებს ჩვენს სამშობლოს:

„... შორეული აზიის საზღვართან მდებარე გმირმა საქართველომაც შენგან მიიღო ლითონში ჩამოსხმული ანბანი... შენ გადმონერგე შენს სამშობლოში კოლხური საწმისი... შენი სახელი საუკუნეებში იცოცხლებს!"

რაც შეეხება მ. კიშის ერთ-ერთ ძველ მეგობარს, პროფესორ ფერენც პაპაი პარიზის (1649-1716), თავის ცნობილ პოემაში „ცხოვრების წიგნი", რომელიც 78 სტროფისაგან შედგება და მიკლოშ კიშის ცხოვრების აღწერას წარმოადგენს, მან 5 სტროფი მიუძღვნა მიკლოშ კიშის მუშაობას ქართულ შრიფტზე და ამასთან დაკავშირებით არჩილ მეფის მიერ გამოთქმულ მადლობას. ფ. პარიზის ეს თხზულება 1767 წელს გამოსცა პეტერ ბოდმა, რომელიც თავის კომენტარებში წერს: **„ტოტფალუშიმ თბილისელ გვირგვინოსან შემკვეთს დაუმზადა არა მარტო შრიფტი, არამედ სტამბაც"**, ან კიდევ: **„ქართველებს, რომლებიც ძველად იწოდებოდნენ ივერიელებად, ტოტფალუშიმ დაუარსა საბეჭდი სახელოსნო".** მართალია, აქ ერთგვარად გადაჭარბებულია ცნობა მ. კიშის მიერ არჩილ მეფისათვის სტამბის დაარსების შესახებ (ამ შემთხვევაში მხოლოდ შრიფტზე თუ შეიძლება ილაპარაკოს კაცმა), მაგრამ ჩვენ იგი მოგვყავს პირველ რიგში, როგორც ძველ უნგრულ წყაროებში საქართველოსადმი უნგრელი ხალხის ოდინდელი მეგობრობის მომასწავებელი ერთ-ერთი უტყუარი ძვირფასი საბუთი. მაინც რა იქნა არჩილ მეფის მოსკოვიდან 1686 წელს გაგზავნილი ავტოგრაფის საფუძველზე ამსტერდამში, 1686-87 წლებში სახელგანთქმული უნგრელი ასოთქანდაკებლის მიკლოშ კიში ტოტფალუშის მიერ ჩამოსხმული ქართული სასტამბო შრიფტის, როგორც თვითონ უწოდებს, „ლამაზი ასოები?"

* * *

1934 წლის შემოდგომაზე ქართული სტამბის ცნობილმა ისტორიკოსმა ქრ. შარაშიძემ სტოკჰოლმიდან მიიღო სამეფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის კარლ ბიორკბომის წერილი, რომელშიც ამგვარი შეკითხვა იყო: „განახავთ თუ არა სადმე ისეთი ტიპი ქართული დამწერლობისა, რომელსაც წარმოადგენს შვეციაში 1705 წლის ახლოს დაბეჭდილი ქართული სასინჯი შრიფტი და ხომ თავისებურია იგი და არ წააგავს ხუცურის საერთო ტიპს?" წერილს თან ახლდა სტოკჰოლმში ახლად აღმოჩენილი ქართული სასინჯი შრიფტის შვეციაში 1705 წლის ახლოს დაბეჭდილი სასინჯი ფურცლის ფოტოპირი.

ქრ. შარაშიძემ აღნიშნული ფოტოპირის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე 1935 წლის იანვარში პასუხი მისწერა კ. ბიორკბომს, რომელშიც დაადასტურა, რომ ეს საყურადღებო საბუთი სრულიად უცნობია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის და რომ მასზე სამგვარი ქართული შრიფტია წარმოდგენილი; ამათგან ორი ასომთავრულია, ოღონდ, პირველი მსხვილი და მეორე კი მომცრო ზომისა, ხოლო მესამე — წვრილი ნუსხური შრიფტია. ამასთან, ქრ. შარაშიძემ შვეციაში 1705 წლის მახლობელ ხანებში ქართული შრიფტების ჩამოსხმისა და ფოტოპირზე წარმოდგენილი უცნობი ქართული სასინჯი ანაბეჭდის დამზადების ფაქტი სრულიად სამართლიანად დაუკავშირა ამ დროს სტოკჰოლმში ტყვედ მყოფ ალექსანდრე არჩილის ძეს, ოღონდ შედარების საფუძველზე, გამორიცხა სტოკჰოლმური შრიფტისა და 1705 წელს მოსკოვში არჩილის მიერ გამოცემული ქართული „დავითნის" შრიფტის იგივეობა, და ამგვარად, სტოკჰოლმური ქართული შრიფტის მოსკოვის სტამბაში გამოყენების შესაძლებლობაც.

1935 წელს სტოკჰოლმში უკვე გამოქვეყნდა კ. ბიორკბომის გამოკვლევა „ჰენრიკ III კაიზერის ქართული შრიფტის სასინჯი ანაბეჭდი", რომელშიც ასახული და გაზიარებული ჩანს ქრ. შარაშიძის მიერ მიწოდებული დასკვნები.

ვინაიდან კ. ბიორკბომის გამოკვლევა შვედურ (ამდენად, ძნელად მისაწვდომ) ენაზე იყო დაბეჭდილი, ავტორმა ქრ. შარაშიძისთვის გამოგზავნილ თავის შრომის ამონაბეჭდს თან მოაყოლა ვრცელი გერმანული რეზიუმე, რომელიც ქართულად თარგმნა ფატი ხუნდაძემ და 1937 წელს თავის გამოკვლევას დაურთო ქრ. შარაშიძემ (იხ. მისი ქართული შრიფტი ამსტერდამში „საჯარო ბიბლიოთეკის შრომები", ტ. III, თბ. 1937). დიდხანს, აგერ 1981 წლამდე, ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობა კ. ბიორკბომის ნაშრომს უმთავრესად ამ გერმანული რეზიუმეს ქართული თარგმანით იცნობდა. მხოლოდ 1981 წელს ფ. სიხარულიძემ დაბეჭდა კ. ბიორკბომის გამოკვლევის სრული ქართული თარგმანი (იხ. კრებ. „მეგობრობა" ტ. II, 1981).

მაშასადამე, კ. ბიორკბომის 1935 წელს და ქრ. შარაშიძის 1937 წელს გამოქვეყნებული ნაშრომების წყალობით ცნობილი გახდა სტოკჰოლმში 1705 წლის ახლო ხანებში დაბეჭდილი ქართული შრიფტის სასინჯი ანაბეჭდი სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარის მიხედვით. რაც შეეხება ამ ანაბეჭდზე შემონახულ ქართული ასომთავრული და ნუსხური შრიფტების სამ სახეობას, როგორც კ. ბიორკბომმა, ისე ქრ. შარაშიძემ ისინი უყოყმანოდ გააიგივეს ამსტერდამში 1686-87 წლებში არჩილ მეფის შეკვეთით მიკლოშ კიშის მიერ ჩამოსხმულ ქართულ შრიფტებთან, რომელთა შესახებ მოხსენებული იყო ზემოთ ჩამოთვლილ როგორც უცხოურ, ისე ქართულ წყაროებში. მაგრამ ფიზიკურად არც თვითონ ეს შრიფტები და არც მათ საფუძველზე დამზადებული ანაბეჭდები 1980 წლამდე არ ჩანდა.

ამიტომ კ. ბიორკბომის მიერ 1935 წელს სტოკჰოლმში აღმოჩენილი მანამდე უცნობი 1705 წლის სტოკჰოლმური ქართული ანაბეჭდის შრიფტი გაიგივდა მიკლოშ კიშისეულ ამსტერდამის 1686-87 წლების ქართულ შრიფტთან, რაც მტკიცედ დამკვიდრდა როგორც უცხოურ, ისე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაგრამ ამ მცდარი თვალსაზრისის ბატონობას ბოლო მოუღო 1980 წელს ამსტერდამის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში უნგრელი მეცნიერის რობერტ დანის მიერ აღმოჩენილმა მიკლოშ კიშისეულ ქართულ შრიფტთა 1687 წლის ნამდვილმა ანაბეჭდმა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა არჩილ მეფის შეკვეთით 1686-87 წლებში ამსტერდამში მიკლოშ კიშის მიერ დამზადებულ ქართულ შრიფტთა რაობაზე და მის მიმართებაზე როგორც სტოკჰოლმურ (1703-05 წწ.), ისე მოსკოვურ (1705 წ.) ქართულ შრიფტებთან, და საერთოდ, ქართული სტამბის ისტორიის სათავეებზე.

* * *

პირველი წინასწარი ცნობები თავისი აღმოჩენის თაობაზე რობერტ დანმა 1980 წლის 15 ივნისს გამოაქვეყნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში — „ნეფსაბადშაგში" სათაურით: „მიკლოშ კიში ტოტფალუშის ქართული ასოები", ხოლო მალე იმავე სათაურით რ. დანის მეცნიერული ნარკვევი დაიბეჭდა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „უნგრული წიგნის მიმოხილვაში" (1980, № 4). წერილს თან ახლდა ამსტერდამში აღმოჩენილი 1687 წლის კიშისეული ქართული ანაბეჭდის ფოტოპირი.

ამ აღმოჩენასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნა პროფესორ ლაიოშ ტარდისთან ერთად გაზეთ „კომუნისტში" 1980 წლის 7 სექტემბერს გამოქვეყნებული ჩემი წერილი „ქართული სტამბის სათავეებთან". ამასობაში, ამსტერდამიდან ვ. კ. გნირეპმა გამოგზავნა მეტად საყურადღებო ცნობა, რომლის მიხედვით გაირკვა, რომ მიკლოშ კიშისეული 1687 წლის ქართული ანაბეჭდი თავიდან ჩადებული ყოფილა მიკლოშ კიშის მიერ ამსტერდამის საჯარო ბიბლიოთეკისათვის ნაჩუქარ უნგრულ „ოქროს ბიბლიაში", რომელიც მან 1685 წელს გამოსცა ამსტერდამში. **ამით ამსტერდამულ ქართულ სასინჯ ანაბეჭდს ავტორისეული ცალის მნიშვნელობა მიენიჭა.**

ამსტერდამში 1687 წელს დასტამბული ქართული ანაბეჭდის ზომაა 31×22 სმ. აქედან 25×19 სმ ოთხივე მხრიდან შემოფარგლულია ორნამენტული ჩარჩოთი (ქვედა ხაზი გაწყვეტილია სვეტების გაყოლებაზე ჩარჩოს გარეთ, ზედა მარჯვენა კუთხეში გვიანდელი ხელით მიწერილია „In Bibl. Oct. № 5. Bibl. Amst". 1796 წელს გამოცემული „ამსტერდამის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგის" (გვ. 167) მიხედვით დადგინდა, რომ ეს მინაწერი აღნიშნავს მიკლოშ კიშის მიერ ამსტერდამის საჯარო ბიბლიოთეკისათვის ნაჩუქარი უნგრული „ოქროს ბიბლიის" (ამსტერდამი, 1685) სარეგისტრაციო ნომერს. **მაშასადამე, აქედან ირკვევა, რომ თავიდან ეს ქართული ანაბეჭდი ფურცელი კიშისეულ ბიბლიაში დებულა.** უფრო ქვევით, მთელი ზედა ჩარჩოს გაყოლებაზე, როგორც მტკიცდება, მიკლოშ კიშის ხელით შესრულებულია ხუთსტრიქონიანი ლათინური წარწერა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სტამბის ისტორიისათვის:

„ლიტერები ქართული ანუ გრუზინული ან მეგრული ქრისტიანული ბერძნული [მართლმადიდებლური] რელიგიის მიმდევარი, კავკასიონის ძირას, კასპიის ზღვისა და ევქსინის პონტოს შორის მცხოვრები ხალხისა; ასოები, რომლებიც აქამდე მხოლოდ ხელნაწერებში გამოიყენებოდა და მხოლოდ ახლა მოხაზულობისა და პროპორციების მიხედვით და ბეჭდვის ხელოვნების გამოყენებით წესრიგშია მოყვანილი, ფოლადითა და სპილენძით ჩამოსხმული სტამბის სამუშაოებისთვისაა განკუთვნილი: იმავე ეროვნების მეფის არჩილის შეკვეთით დამზადებული ნიკოლაუს კიშის, უნგრელის მიერ. ამსტერდამი, 1687 წელი".

ახლა ვ. გნირეპის მიერ ამსტერდამიდან მოწოდებული ცნობის შემდეგ უკვე აშკარაა, რომ მიკლოშ კიშმა ეს განმარტება-ლათინური ამხსნელი წარწერა ქართულ ანაბეჭდს გაუკეთა ამსტერდამის საჯარო ბიბლიოთეკისათვის უნგრული ბიბლიის ჩუქების დროს, რომელშიც ჩადებული ყოფილა ორად გაკეცილი ეს ქართული ფურცელიც, რათა ევროპელთათვის გასაგები ყოფილიყო ანაბეჭდზე წარმოდგენილი უცნობი ანბანისა და მისი შემქმნელი ხალხის სადაურობა.

ჩარჩოს შიგნით ფურცელზე ორ სვეტად განლაგებულია ხუცური ასომთავრული და მხედრული ანბანი, სანიმუშოდ მოხმობილ „ლოცვათა" ფრაგმენტული ტექსტებით, აგრეთვე, ქარაგმის ნიშნიანი სამი და ოთხი ერთიდაიგივე ასოებით.

ამსტერდამში აღმოჩენილ მიკლოშ კიშის ქართული შრიფტის 1687 წლის ანაბეჭდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის.

ჯერ ერთი, აქამდე ქართული სტამბის ისტორიკოსებს თურმე ხელთ არ ჰქონიათ მიკლოშ კიშის მიერ 1686-87 წლებში ამსტერდამში დამზადებული ნამდვილი ასომთავრული და ნუსხური სახეობანი ქართული შრიფტისა, ასეთად რასაც მიიჩნევდნენ, იგი სინამდვილეში ყოფილა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის თაოსნობით 1708 წელს შვეციაში სტოკჰოლმის ჰენრიკ III კაიზერის სტამბაში დამზადებული ასომთავრული და ნუსხური შრიფტი. ამას გარდა, რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, დღემდე სრულიად უცნობი იყო მიკლოშ კიშის მიერ 1687 წელს ამსტერდამში ქართული მხედრული შრიფტის დამზადების ფაქტი. იტალიაში XVII საუკუნის 80-იან წლებში დამზადებული ქართული მხედრული შრიფტის მომდევნო საფეხურად აქამდე ითვლებოდა XVIII საუკუნის 10-იანი წლების ვახტანგ მეექვსის თბილისური სტამბის მხედრული შრიფტი. დღეიდან კი ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს მოსკოვში არჩილ მეფის შეკვეთითა და მისი ავტოგრაფის საფუძველზე 1687 წელს ამსტერდამში სახელგანთქმული უნგრელი ასოთქანდაკებლისა და მესტამბის მიკლოშ კიში ტოტფალუშის მიერ დამზადებული ქართული შრიფტის სამივე სახეობა, მათ შორის, მხედრული შრიფტიც.

ამგვარად, ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტის ისტორია XVII საუკუნის 80-იან წლებში ჰოლანდიასთან, შვეციასა და უნგრეთთან მოსკოვის სამეფოს გზით საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა მატიანის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია.

გურამ შარაძე.









EXEMPLAR,

PRÆCLARISSIMUS AC INDUSTRIO LABORE CULTISSIMUS

D. NICOLAUS KIS M. TOTFALUSI,





სურათებზე: ქართული სასტამბო ანაბეჭდი, სტოკჰოლმი, 1703 წ., არჩილისეული მოსკოვური ქართული შრიფტი „დავითნი", 1705 წ., მიკლოშ კიშის ქართული შრიფტების ანაბეჭდი, ამსტერდამი, 1687 წ., მიკლოშ კიშის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაბეჭდილი ფურცლის ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადებაზე, კოლოჟვარი, 1702 წ., მოსკოვის სტამბა, სადაც 1705 წელს არჩილ მეფემ დაბეჭდა „დავითნი".

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი", № 178.

ქართული თეატრის წარმატება

ხაბაროვსკი, 7 აგვისტო. (საქინფორმის სპეც. კორ. ი. ვიტრიშჩაკო). დიდი წარმატებით მიმდინარეობს ამურის ქალაქში თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. სახელგანთქმული კოლექტივის გასტროლები მკაფიო მოვლენა გახდა ხაბაროვსკის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრალური ხელოვნების მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები უკვე გაეცნენ თეატრის საუკეთესო ნამუშევრებს, რომლებიც დაიდგა ბ. ბრეხტის, უ. შექსპირისა და თანამედროვე ქართველი ავტორების თ. ჭილაძის, ა. ვარსიმაშვილისა და ლ. ფოფხაძის პიესების მიხედვით: „კავკასიური ცარცის წრე", „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის", „ვარიაციები თანამედროვე თემაზე". საზოგადოებისა და თეატრალურ კრიტიკოსთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უ. შექსპირის ტრაგედიის „რიჩარდ მესამის" თავისებურმა გაგებამ.

შორეულ აღმოსავლელებს არ აცბუნებს, რომ სპექტაკლები ქართულ ენაზე მიდის. ხაბაროვსკის მუსიკალური კომედიის თეატრის დარბაზი (მხარის საუკეთესო სცენა), სადაც თეატრის სპექტაკლები იდგმება, რადიოფიცირებულია. მაყურებელს ესმის კვალიფიციური თარგმანი მოქმედების მიმდინარეობისას. მსახიობთა შესანიშნავი თამაში იმის საშუალებას იძლევა, რომ უთარგმანოთაც ჩაწვდნენ მოქმედების აზრს. როცა სცენაზეა რ. ჩხიკვაძე, მაგალითად, მისი ყოველი რეპლიკა, ყოველი მონოლოგი დარბაზის ცხოველ რეაქციას იწვევს: იმდენად დიდია მსახიობის უნარი რელიეფურად გამოძერწოს სახე, ფსიქოლოგიურად მკაფიოდ და ზუსტად გადმოსცეს როლის აზრი, სცენური გმირის ხასიათი.

გუშინ სპექტაკლის დაწყებამდე საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა მაყურებლებს.

მ. პეტროსოვი, მუშა: „ქართული თეატრის სპექტაკლებზე ვიგრძენი ნამდვილი ხელოვნება. აღტაცებული ვარ მსახიობთა ოსტატობით. მე რომ მკითხოთ, მთავარი ის არის, რომ თეატრი თანამედროვეა. რაზეც უნდა ლაპარაკობდნენ მსახიობები სცენიდან — წარსულსა თუ თანამედროვეობაზე — თეატრი წყვეტს დღევანდელობის საჭირბოროტო პრობლემებს. ალბათ ამიტომაა, რომ სცენური მოქმედება პირველი წუთიდანვე აჯადოებს მაყურებელს".

ე. სოროკინი, ექიმი: „რამდენიმე დღის წინათ პირველად ვნახე „კავკასიური ცარცის წრე". აქამდე გამომყვა სპექტაკლისაგან მიღებული შთაბეჭდილება, სპექტაკლისა, რომელიც უმღერის მაღალზნეობრივ ადამიანურ ურთიერთობას. აღტაცებული ვარ მსახიობების რ. ჩხიკვაძის, ი. გიგოშვილის, გ. საღარაძის ბრწყინვალე თამაშით. დღეს მეორედ მოვედი სპექტაკლზე".

მ. ბარაშკოვა, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, ხაბაროვსკის დრამატული თეატრის მსახიობი: „რიჩარდ მესამეში" პირველად ვნახე მსახიობთა მიერ რეჟისორის ჩანაფიქრის ასეთი შესანიშნავი ხორცშესხმა. მსახიობთა პლასტიკა, მოძრაობა, ოსტატობა საშუალებას გვაძლევს აღვიქვათ ყველასათვის ცნობილი ნაწარმოების უჩვეულო გაგება. ამ სპექტაკლში არ არის „პატარა როლები" — ყველა მსახიობი დიდი აღმავლობით თამაშობს. დამდგმელი წარმოგვიდგება როგორც ნიჭიერი და ორიგინალური ხელოვანი, რომლის შემოქმედებითი მანერა გამოირჩევა სიახლის გაბედული ძიებით. შემსრულებლებს კი მშვენივრად ესმით თავიანთი ამოცანა და უნარიანად ასხამენ ხორცს, რაც მოწმობს რეჟისორისა და მსახიობების მაღალ პროფესიონალიზმს".

ყ ა ბ ა ხ

ძველებური შემართებით

ნონა გაფრინდაშვილის წარმატება ბად-კისინგენში (გფრ) თამამად შეიძლება შევადაროთ მის ადრინდელ უდიდეს სატურნირო მიღწევებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო ქულათა უაღრესად მაღალი პროცენტი (თორმეტი თხუთმეტი შესაძლებლიდან), არამედ თამაშის ხარისხიც. 6 აგვისტოს გაფრინდაშვილი თბილისში დაბრუნდა. მას ესაუბრა ჩვენი საჭადრაკო მიმომხილველი **გ. გამრეკელი.**

— გილოცავთ დიდ გამარჯვებას. ვინ შედიოდა ჩვენს საჭადრაკო დელეგაციაში?

— ლიტინსკაიას და სემიონოვას წვრთნიდა დიდოსტატი გიპსლისი, ფატალიბეკოვას — დიდოსტატი სვეშნიკოვი, მე, როგორც ყოველთვის, მეხმარებოდა საერთაშორისო ოსტატი უბილავა.

— როგორ მიმდინარეობდა სატურნირო ბრძოლა?

— წინასწარ სავარაუდოდ ითვლებოდა რომ 10,5 ქულა საპრიზო სამეულში გასასვლელად საკმარისი იქნებოდა. ეს გამოთვლა არ აღმოჩნდა მთლად ზუსტი. თქვენ თავად განსაჯეთ — უკანასკნელი ტურის წინ 11 ქულა მქონდა და ამის მიუხედავად, ბოლო პარტიის მოგებაზე თამაში დამჭირდა. საქმე ის არის, რომ სულ უკანასკნელ მომენტამდე 6 მონაწილე ინარჩუნებდა პრეტენდენტთა ასპარეზობაში მოხვედრის შესაძლებლობებს. ჩატარდა ხელოვნური წილისყრა. ეს ნიშნავდა, რომ ერთი ქვეყნის წარმომადგენლები შეჯიბრების პირველ ნახევარში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. 6 თამაშიდან 4,5 ქულა მქონდა და სტარტის შედეგებით კმაყოფილი ვიყავი, მეშვიდე ტურში კი დავმარცხდი. ჯერ სავსებით მოსაგებ პოზიციას მივაღწიე სემიონოვასთან, მაგრამ შემდეგ საქმე დამთავრებულად ჩავთვალე, მოვდუნდი და საბოლოოდ წავაგე კიდეც. ამის შემდეგ ბრძოლა გართულდა და ძალების მეტი დაძაბვა მომიხდა: ბოლო 8 პარტიაში 7,5 ქულა მოვაგროვე. ეს უკვე პირველი ადგილის გარანტია იყო.

— თქვენი პარტიებიდან რომლებს გამოყოფდით?

— უწინარესად — ფატალიბეკოვასთან, ივანკასთან და ჰუნდთან მოგებულ პარტიებს.

— რას იტყვით ლემაჩკოსა და სემიონოვაზე, რომლებიც ასევე პრეტენდენტები გახდნენ?

— ლემაჩკო, რომელიც 11,5 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა, კარგად მომზადებული და მასშტაბური მოჭადრაკეა. მე პირადად მოველოდი კიდეც, რომ იგი, ისევე როგორც წარსულ ციკლებში, შეძლებდა პრეტენდენტი გამხდარიყო. კარგად ითამაშა სემიონოვამ, რომლის მთავარ ღირსებად დიდი შეუპოვრობა უნდა ჩაითვალოს.

— სხვა მონაწილეებიდან ვინ გამოირჩეოდა?

— კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ კლიმოვა, ჰუნდი და პოგორევიჩი. სამივე ამ ახალგაზრდა მოჭადრაკეს, ისევე როგორც სემიონოვას, მალე დიდოსტატის წოდება მიენიჭება. სამ მათგანს ახლანდელი მიღწევისათვის, პოგორევიჩს კი ადრინდელი წარმატებისათვის. ფატალიბეკოვასა და ივანკას პირიქით, ამჯერად არაფრით გამოუჩენიათ თავი. ლიტინსკაია მაღალი კლასის მოჭადრაკეა და მისგან უკეთესი შედეგი იყო მოსალოდნელი.

— როგორ იყო ტურნირი ორგანიზებული?

— აქ იმით უნდა დავიწყოთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაცია ამ ბოლო ხანს დიდ ყურადღებას უთმობს ქალთა ჭადრაკს. მას მხარს უჭერს ქალაქ ბად-კისინგენის საკურორტო კომპლექსის დირექცია. ერთ დღეს გვეწვია ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი და პრიზიც დააწესა. ეს ჯილდო მოგვიანებით მე გადმომეცა. სხვათა შორის, ტურნირის დღეებში იქაური ტელევიზია გადასცემდა „დათა თუთაშხიას" ხუთსერიან ვარიანტს. სიამოვნებით ვუყურებდით კვირაობით ვრცელ საფეხბურთო მიმოხილვას, რომელშიც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სსრ კავშირის ჩემპიონატს (ვნახეთ ცსკასა და თბილისის „დინამოს" მატჩის ნაწყვეტები).

— მაშ ასე, გამოვლინდა პრეტენდენტების დიდი ნაწილი...

— ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე საზონათშორისო ტურნირს, რომელიც 14 სექტემბერს თბილისში დაიწყება. ცხადია, მე იგი ძალიან მაინტერესებს...

— ვინ მიგაჩნიათ თბილისში ფავორიტებად?

— უწინარესად ახმილოვსკაია, ლევიტინა, ვერეცი, ფიშდიკი და გურიელი.

— ერთი სიტყვით, ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის ყველა პრეტენდენტის გვარი ცნობილი გახდება.

— აქ გთხოვთ ერთ რამეს მიაქციოთ ყურადღება: პრეტენდენტთა ასპარეზობის პირველ — მეოთხედფინალურ ეტაპზე (იგი მომავალი წლის პირველ ნახევარში გაიმართება) დებულების თანახმად, ალექსანდრია, იოსელიანი (როგორც პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი), მე და ის, ვინც თბილისში პირველ ადგილს დაიკავებს, ერთმანეთს არ ვხვდებით. ჩვენი მეტოქეები იქნებიან ბად-კისინგენსა და თბილისში მეორე-მესამე ადგილებზე გამოსული დიდოსტატები.

— მომავალი გეგმები?

— უახლოესი: ნოემბერში ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე თამაში მომელის, რომელიც შვეიცარიაში გაიმართება. საბჭოთა ნაკრების ღირსებას დაიცავენ აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონი ჩიბურდანიძე, პრეტენდენტები ალექსანდრია და იოსელიანი. ერთი სიტყვით, გუნდი, ეტყობა, მთლიანად „თბილისური" იქნება.

საერთოდ კი ქართველი მოჭადრაკე ქალები ბოლო ხანს მომავლის გეგმებს, ჩვეულებრივ, უცხოეთში გამართულ ტურნირებს უკავშირებენ ხოლმე, რადგან, სამწუხაროდ, კარგა ხანია თბილისში ქალთა საერთაშორისო ტურნირების ჩატარების ტრადიცია დაირღვა. შარშან 6 ნოემბერს ქართველ მოჭადრაკე ქალებთან შეხვედრისას ამხანაგმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ გულისტკივილით აღნიშნა ეს და იქვე დაავალა რესპუბლიკის სპორტკომიტეტს და საჭადრაკო ფედერაციას აღედგინათ ეს მეტად საინტერესო და ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის საჭირო ტრადიცია. მე ვიცი რომ რაღაც ნაბიჯები ფედერაციამ უკვე გადადგა, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს.

მე ბოდიშს ვიხდი, ასეთ ინტერვიუში იქნებ არც იყო აუცილებელი ამის გახსენება, მაგრამ მომავლის გეგმებზე კითხვა ხომ თქვენ თვითონ დამისვით.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

8 აგვისტო

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40—ნ. ოსიპოვის სახელობის რუსული ხალხური ორკესტრის კონცერტი. 10.30—მაღვიძარა. 11.00—ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00—ჯანმრთელობა. 12.45—„დილის ფოსტა". 13.15—„მშენებლობა და არქიტექტურა". კინოჟურნალი. 13.30—სოფლის საათი. 14.30—მუსიკალური კიოსკი. 15.00—მ. ანჩაროვი „შეუძლებლობის თეორია". ფილმ-სპექტაკლი. 16.55—კინომოგზაურობის კლუბი. 17.55—დღეს მშენებლის დღეა. გვესაუბრება სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მინისტრი ბ. ვ. ბეკინი. 18.15—„თქვენი წერილების მიხედვით". მუსიკალური პროგრამა მშენებლის დღის გამო. 19.00—საერთაშორისო პანორამა. 19.45—მულტფილმები. 20.15 — მხატვრული ფილმი. 22.00—„ვრემია". 22.35—საფეხბურთო მიმოხილვა. 23.05—საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კრივში. ფინალი. 00.35—ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00—დილის ვარჯიში. 9.20—დოკუმენტური ტელეფილმები მშენებლის დღის გამო. 10.10—მხატვრული ტელეფილმი „ჭიქა წყალი" II სერია. 11.15—„ორლიონოკის" ტელესტუდიის საკონცერტო დარბაზი. 11.55—აშკარა — დაუჯერებელი. 12.55—მულტფილმები. 13.25 — დოკუმენტური ტელეფილმი „ფარული ომი დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ". 14.20—კინომოყვარულის თანამგზავრი. 15.05—„ვარადერო". ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი კუბაში. 15.55—დოკუმენტური ტელეფილმი „სადაც აისბერგები აღარ ბრუნდებიან". 16.15—გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.50—მხატვრული ტელეფილმი „ტალანტი". II სერია. 18.00—ფეხბურთი. მოსკოვის „ტორპედო"—მოსკოვის „დინამო". 19.45—დიდი ოქტომბრის 65-ე წლისთავისათვის. „ჩვენი ბიოგრაფია". „1951 წელი". 20.40—უკრავენ ვ. გოროდოვსკაია და ნ. ჩეკანოვა (ბარბითი). 21.00—„ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15—„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარკები". დოკუმენტური ტელეფილმი (გდრ). 21.45—პოდოლსკის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ხალხური ანსამბლის „ლენოკის" კონცერტი. 22.00—„ვრემია". 22.35—მხატვრული ფილმი „უცნობი მემკვიდრე".

8 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მშენებლები". 10.00 — „მოამბე". 10,30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მზის წვიმა" და იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში". 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბზიფის ხეობა". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „ცეროდენას ეკრანი". 13.10 — „ქართული ხალხური ცეკვის ოსტატები" — იამზე დოლაბერიძე და ფრიდონ სულაბერიძე. 14.20 — მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა" (განმეორებით). 15.35 — „ვესტნიკი". 16.05 — „ილუზიონი". 18.00 — „დღეს მშენებლის დღეა" (მ.), 18.15 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „ვერნისაჟი" — ლენინგრადში მოღვაწე ქართველი მხატვრები. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45 — „ჩვენი ლაშქარი" — რევაზ გაგუა. 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ზღაპრის გუდა". 20.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მღერის „რუსთავი" — პრემიერა. 21.45 — „ჩვენი ანონსი". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 23.05 — ფეხბურთი. სსრ კავშირის პირველობაზე: დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" — ქუთაისის „ტორპედო". 7 აგვისტოს მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66484 უე 09343 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20